# ალკოჰოლი
# და



muslim georgia international

# ალკოჰოლი და აზარტული თამაშები

## ზიანი, რომელიც ალკოჰოლს მოაქვს

გამჩენმა ღმერთმა ადამიანები გააჩინა და დედამიწაც მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო საკვებით სავსე მაგიდასავით შეამკო, ადამიანის ჯანმრთელობისათვის საზიანო რაც არის, ისინი აკრძალა. აკრძალულს ჰარამი უწოდა, ნებადართულს ალალი.

ყურანში „ჰარამად“ წოდებულებიდან ერთ-ერთი ალკოჰოლური სასმელია. ნებისმიერი სასმელი, რა სახელიც არ უნდა ერქვას, ალკოჰოლის დიდი თუ მცირე შემცველობით, თუ ის იწვევს ადამიანის თრობას არამად ითვლება და ერთნაირად აკრძალულია. მათრობელი სასმელი ბევრიც და ცოტაც, ჰარამია, უკანონოა.

– ალკოჰოლი ის საწამლავია, რომელიც ადამიანს გონებას უბინდავს, ჯანმრთელობას უსპობს და ნელ-ნელა

სიკვდილისკენ მიჰყავს.

– ალკოჰოლი კაცობრიობის მთავარი პრობლემა და უდიდესი მტერია.

– საპატიმროში გამოწვეული პატიმრების, სანატორიუმის ავადმყოფების და ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტების უმეტესობა ალკოჰოლის მიზეზითაა იქ მოხვედრილი. ალკოჰოლი ადამიანის სხეულში ქსოვილების განვითარებას უშლის ხელს და ნელნელა მის სიკვდილს იწვევს.

– ალკოჰოლი სხეულის დაავადებების საწინააღმდეგო იმუნიტეტს ასუსტებს და სხეულს დროთა განმავლობაში ავადმყოფობის წინააღმდეგ უუნაროს ხდის.

– ალკოჰოლი ნერვიული და ფსიქოლოგიური დაავადებების მიზეზია. უამრავი ზიანისა და უბედურების გამო ღმერთის შუამავალს მის შესახებ უბრძანებია: „დასალევს მოერიდონ, რადგანაც ის ყველა ბოროტების გასაღებია“.

გამჩენი ღმერთი ერთ–ერთ აეთში ბრძანებს:

„მორწმუნენო! ღვინო, მორინი, ბუთები და ისრით მკითხაობა სატანის მოგონილი სისაძაგლეა, ერიდეთ მათ და ნეტარ იქმნეთ.„ (სურა: მაიდე 90).

როგორც ამ აეთის განმარტებაში ჩანს, ღმერთი დასალევს სისაძაგლეს უწოდებს. აქედან გამომდინარე გონიერმა ადამიანმა დასალევის მიმართ მხოლოდ ზიზღი უნდა იგრძნოს. ჭეშმარიტად, ღმერთი რასაც სისაძაგლეს უწოდებს, მის მიმართ გონებაც, კუჭიც და სულიც ზიზღს იგრძნობს.

რადგანაც დასალევს ბოროტებისა და უბედურების მეტი არაფერი მოაქვს, მას ეშმაკისეული უწოდეს. ვისაც არ სურს, რომ დაშორდეს ღმერთს და სატანის მონა და თანამგზავრი გახდეს, ვალდებულია დასალევს თავი დაანებოს.

უკანონოა (ჰარამია) ყოველი, რაც ალკოჰოლურ სასმელთანაა დაკავშირებული.

ამიტომ მას მთლიანად უნდა ჩამოვშორდეთ.

– სასმელზე უარის თქმა განწმენდის წინაპირობაა და გადარჩენის მიზეზადაა ნაჩვენები. როგორც პიროვნების, ასევე საზოგადოების გადარჩენა დასალევზე და მასთან დაკავშირებულ ყოველგვარ საქმიანობასთან დაშორებაზეა დამოკიდებული.

ალკოჰოლის მომხმარებელი მშობლების შვილების უმეტესობა დაბადებისთანავე იღუპება, ცოცხლად დარჩენილთაგან ზოგი გონებაჩლუნგი, ზოგიც სულიერად ავადმყოფი იზრდება.

სიმთვრალე ადამიანთა შორის ჩხუბის, მკვლელობის მიზეზია. ხშირია შემთხვევა, როცა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფს ძალიან ახლობელ ადამიანთან უჩხუბია ან ახლო მეგობარი სასიკვდილოდ გაუწირავს. ამას გამჩენი ღმერთი ასე განგვიმარტავს:

„სატანას სწადია სიძულვილი და მტრობა თქვენ შორის ღვინითა და მღერით ჩამოაგდოს და ღვთისა და ლოცვის მოგონებას დაგაშოროსთ. მაშ არ ეკრძალებით? ღმერთს დაემორჩილეთ, წინასწარმეტყველს დაემორჩილეთ და თავსაც გაუფრთხილდით, ვინადგან თუ გადაუხვიეთ, იცოდეთ მოციქული მხოლოდ ქადაგებას არის დავალებული.“ (მაიდე სურა, აიათი 91)

ბევრი ვინმეა შემჩნეული დასალევზე აყოლისთანავე ნამაზის ლოცვა რომ მიატოვა. დასალევს ვინც დაემონება, ღმერთის ხსენება კი არა, მისი გახსენებასაც აღარ ისურვებს. წმინდა ყურანში ეს ჭეშმარიტება ასეა გადმო-

ცემული:

„ღვთისა და ლოცვის მოგონებას დაგაშოროსთ“

ისლამის წარმოშობის პერიოდში ხურმის, ყურძნის, თაფლის, ხორბალის და ქერისგან ამზადებდნენ ალკოჰოლურ სასმელებს. თითქმის იგივეა დღესაც. ისლამი კრძალავს მას და მისი გამომყენებლის მიმართ ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ სასჯელის არსებობას გვამცნობს. ღმერთის შუამავალი ერთ–ერთ წმინდა ხადისში ბრძანებს:

„ღმერთს ღვინის დამლევიც და დამლევინებელიც, მყიდველიც და გამყიდველიც, დამწურავიც და დამწურვინებელიც, მზიდველიც და მომტანიც დაუწყევლია“.

ასეთ რამეზე თავის არიდება ღმერთის დაწყევლისაგან გადაგვარჩენს.

ბუხარის გადმოცემულ ერთ–ერთ წმინდა ხადისში ასეა ნაბრძანები:

„არა კანონიერ სქესობრივ კავშირს (ზინა) ვინც მისდევს, ამას არ აკეთებს როგორც მორწმუნე, ღვინის მსმელი, როგორც მორწმუნე ისე არ სვამს ღვინოს, ქურდი მოპარვის დროს არ იპარავს როგორც მორწმუნე“.

ამ ხადისის მნიშვნელობა მართლაც შემაშინებელია.

ისლამის მეცნიერების განმარტებით ამგვარი მდგომარეობა რწმენას (იმანს) თუ არ სპობს, მის სრულყოფილებას ამახინჯებს, ე. ი. ამ დანაშაულის ჩამდენები, მათი ჩადენის დროს როგორც სრულყოფილი მორწმუნეები არ სჩადიან მათ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სრულყოფილების გარეშე იმანი განწირულია მოსასპობად.

ჩვენს დროში ზოგიერთი სმის მიმდევრები ხალხის სასმელისადმი სიძულვილის გასანელებლად ან კიდევ მის მოსაწონებლად სხვადასხვა სახელებს არქმევენ. ღმერთის შუამავალმა ეს ჭეშმარიტება საუკუნეების წინ იწინასწარმეტყველა. ები დაუდის და ნესაის გადმოცემულ ერთ-ერთ წმინდა ხადისში ასეა ნაბრძანები:

„ჩემი მიმდევრებიდან ზოგიერთები სასმელს სხვა სახელს დაარქმევენ და დალევენ“.

გამჩენი ღმერთი რასაც ჰარამად აქცევს, მასში არსებულ ყველა სასარგებლოს გააუქმებს. ღმერთმა რომ მას სისაძაგლე უწოდა, ის ვეღარ იქნება დარდის შემამსუბუქებელი (როგორც ზოგიერთს ჰგონია).

როგორც კი სასმელი იქნება საუბრის თემა, მაშინვე

ავადმყოფობა და შარი გვახსენდება. ამიტომ ქორწილებში დაუშვებელია სასმელიანი მაგიდა. რადგანაც, თუ ოჯახის სამირკველი ალკოჰოლთან ერთადაა ჩადებული, მალე ჭერს ცეცხლის ალი შემოეხვევა.

ლოთი ადამანების ოჯახის წევრები მშივრები, უქონელი და უიმედონი არიან. ფული, რომელიც ოჯახის უფროსმა შვილების საკვებში უნდა მისცეს, სასმელში აძლევს. რა თქმა უნდა მისი ოჯახიც და მისი შვილებიც უიმედო მდგომარეობაში იქნებიან.

დარდიანი ადამიანის სასმელში საშველის ძიება, ცეცხლის ჩასაქრობად ბენზინის დასხმას ჰგავს (მეძრ უთბექ გვ. 114)

## სასმელის სმა დიდ ცოდვად ითვლება

ღმერთი ისე ბრძანებს:

,,მორწმუნენო! ღვინო, მორიინი, ბუთები და ისრით მკითხაობა სატანას მოგონილი სისაძაგლეა, ერიდეთ მათ და ნეტარ იქმნეთ. სატანას სწადია სიძულვილი და მტრობა თქვენ შორის ღვინითა და მღერით ჩამოაგდოს და ღვთისა

და ლოცვის მოგონებას დაგაშოროსთ. მაშ არ ეკრძალებით? ღმერთს დაემორჩილეთ, წინასწარმეტყველს დაემორჩილეთ და თავსაც გაუფრთხილდით, ვინაიდან თუ გადაუხვიეთ, იცოდეთ მოციქული მხოლოდ ქადაგებას არი დავალებული.“ (მაიდე სურა, აიათი 90-91)

გამჩენელი ღმერთი აიათში სასტიკად გვიბრძანებს ალკოჰოლურ სასმელებზე მორიდებას და მას ჰარამად აცხადებს.

ღმერთის შუამავალსაც ასე უბრძანებია: „სასმელს მოერიდეთ, რადგანაც ის ბოროტების დედაა“.

ვინც დასალევს არ მოერიდება, ე. ი. ეწინააღმდეგება გამჩენელ ღმერთსა და მის შუამავალს, ამისათვის ის წამებით დაისჯება.

„ვინც ღმერთსა და მის შუამავლს შეეწინააღმდეგება, ღმერთი მას სამუდამოდ ჯოჯოხეთში ჩასვამს, სადაც საშინელი წამება ელოდება“.

იბნი აბბასის გადმოცემით სასმელი რომ ჰარამი გამხდარა, შუამავლის თანამოაზრეებს ერთმანეთისთვის უცნობებიათ, რომ ის ურწმუნოებასთან იყო გაიგივე-

ბული.

აბდულლაჰ ბინ ომარსაც უთქვამს, რომ ალკოჰოლიანი სასმელის სმა ყველაზე დიდი ცოდვაა და უეჭველია, რომ ის ყველა ბოროტების საფუძველია. ბევრ წმინდა ჰადისში დაწყევლილი არიან ალკოჰოლური სასმელების მიმდევრები. იბნი ომარის გადმოცემულ ერთ-ერთ ჰადისში შუამავალი ასე ბრძანებს:

„ყველა რაც მათრობელია,- ჰარამია. ყველანაირი ალკოჰოლური სასმელი ჰარამია. ამქვეყნად ვინც სვამს და მონანიების გარეშე მოკვდება საიქიოში დაისჯება“.

„ვინც მათრობელა დასალევს დალევს, ღმერთი მას „ჰაბალის“ ტალახს დაალევიებს, „ჰაბალის“ ტალახი რა არისო თუ იკითხავთ. ჯოჯოხეთში მყოფების ოფლი და გამონადენია“ (მუსლიმი)

„ამქვეყნად ალკოჰოლურ დასალევს ვინც სვამს, იმქვეყნად ვერ ეღირსება“.

ნათქვამია, რომ დასალევის მიმდევრები კერპთაყვანისმცემლებს ჰგვანან. ჰადისში ასეა ნათქვამი: ალკოჰოლიანი სასმელების მსმელები ისეთივე არიან, როგორც კერპთაყვანისმცემლები. ცნობილია ისიც, რომ ვინც

ალკოჰოლურ სასმელს სვამს და მონანიების გარეშე მოკვდება, სამოთხეში ვერ შევა. ღმერთის შუამავალი ასე ბრძანებს:

„მშობლების ურჩი და სასმელის მიმდევრად ვინც მოკვდება, სამოთხეში ვერ შევა“.

იგივე ხადისის სხვა ვარიანტში ასეა ნაბრძანები:

„გამჩენელ ღმერთს სამი ვინმესთვის უქცევია სამოთხე ჰარამად. ესენია: მსმელები, დედამამის ურჩები და ოჯახის წევრებიდან თუ რომელიმე უნამუსობას სჩადის, ამაზე შემგუებელი „დეთუსი“ (აკიძ შაჰიჰ).

გამჩენი ღმერთი მთვრალის არც ერთ სიკეთეს არ მიიღებს. წმინდა ხადისში ასეა ნაბრძანები:

„სამი ვინმეა, ვისი არც ნამაზი და არც მადლი ცაში არ წავა. ესენია: უსამართლოდ გაქცეული მონა, დაბრუ-ნებამდე, ქალი, რომელსაც ქმარი გაუბრაზდება, სანამ მისგან კმაყოფილი არ გახდება და მთვრალი სანამ გამოიფხიზლებს“ (იბნი ჰაბბაბ).

ყველა მათრობელი სასმელი ჰარამადაა ჩათვლილი. თუ ნივთიერება მათრობელია, მნიშვნელობა არ აქვს მყარი

იქნება თუ თხევადი, საჭმელი თუ სასმელი.

ერთ-ერთ წმინდა ხადისში ასეა ნაბრძანები: „სასმელის მსმელის ორგანიზმში სანამ მისგან რამეა დარჩენილი, ღმერთი მის არც ერთ ლოცვას არ მიიღებს“.

„ვინც დასალევს დალევს, ღმერთი მის არსებით სიკეთეს არ მიიღებს. ვინც იმდენს სვამს, რომ დათვრება, მისი ნამაზი ორმოც დღეს არ მიიღება. და თუ ვინმე მონანიების შემდეგაც დალევს, მასზე ჯოჯოხეთის მკდვრების ჩირქოვან გამონადენის დალევინება ღმერთზე ვაჯიბაა (ვალია)“.

ვინც ცოტას დალევს და არ დათვრება, მისგანაც ღმერთი ორმოცი დღის განმავლობაში სახეს მიიბრუნებს, ხოლო ვინც დათვრება, მის გაკეთებულ საქმეს არ მიიღებს გინდ ფარზი იყოს, გინდ სუნნეთი. ამ მდგომარეობაში რომ მოკვდეს ღმერთი მას „ვებალის“ ტალახს დაალევინებს. „ვებალის“ ტალახი ღმერთის შუამავლის მიერაა განმარტებული. როგორც ჯოჯოხეთში წამებულების სისხლი და სხვა გამონადენი სითხე.

muslimgeorgia

ადულლაჰ ბინ ები ქეფა ასე ამბობს:

„ვინც, როგორც ალკოჰოლის მიმდევარი ისე მოკვდება, თითქოს ლათ-სა და უზზას კერპებზე თაყვანისცემაში მომკვდარა“.

როდესაც შეეკითხნენ თუ ვინ ითვლებოდა მიმდევარად, ყოველთვის რომ სვამს ისეთი ადამიანი თუ ხანგამოშვებითო? მან ასე უპასუხა: წლების შემდეგაც რომ შეხვდეს და დალიოს ისიც ითვლებაო.

„როგორც ადამიანი თავის პერანგს გაიხდის, გამჩენი ღმერთიც ისე გახდის რწმენას, ვინც იმრუშებს და ალკოჰოლურ სასმელს სვამს“ (ჰაქიმ).

„სალამოს ალკოჰოლური სასმელის მსმელი, ისე გაათენებს, როგორც ურწმუნო, დილას ვინც დალევს ურწმუნოდ დაალამებს“.

„სამოთხის სუნი ხუთასი წლის სავალი მანძილიდანაც იგრძნობა, მაგრამ მშობლების ურჩი, მსმელი და კერპთაყვანისმცემელი მის სუნს ვერ იგრძნობს“ (თაბარანი).

„ღმერთმა მე ადამიანების წყალობად გამომგზავნა. ხელით და სულით დასაკრავი მუსიკალური ინსტრუმენტების და უმეცრების ხანის წესების მოსასპობად გამომ-

გზავნა. მაღალო ღმერთო, ვფიცავ, ჩემი მიმდევრებიდან ვინც ერთ ყლუპ სასმელს დალევს, მას ჯოჯოხეთის ცხელ სითხეს დავალევინებ. ვინც ჩემი შიშით სასმელს თავს დაანებებს და მოინანიებს, წმინდა საზოგადოებაში ყველაზე კარგ ამხანაგებთან ერთად დავალევინებ“ (აჰმედ ჰაბელ).

მსმელები, როდესაც დაავადდებიან, მათი მონახულება არ შეიძლება. აბდულლაჰ ბ. ასს უთქვამს:

„მსმელების მოსანახულებლად არ წახვიდეთ“.

არსებობს ვარაუდი, რომ იბნი ომერი ალკოჰოლის მსმელებს არ ესალმებოდა (ბუჰარიდე).

განკითხვის დღეს მსმელებს სახე გაუშავდებათ და პირდამწვარი და ენაგადმოგდებულები იქნებიან. მათი შემ-ხედვარე ყველა მიხვდება, რომ ისინი მსმელები არიან.

ისლამის ზოგიერთი მეცნიერი მსმელებზე მისალმების, ან მათი მონახულების აკრძალვას ასე ხსნის:

„ისინი ღმერთისა და შუამავლისაგან დაწყევლილი არიან“.

ვინც სასმელს იყიდის და გაყიდის, ორმაგად დაწყევ-

ღილია. თუ სხვებს დაალევინებს, წყევლა გასამმაგდება. ესაა მიზეზი მათზე მოუსალმებლობისა. ხოლო ასეთი ადამიანები თავის საქციელს თუ მონანიებენ, ღმერთი მიმტევებელია.

სასმელით მკურნალობაც არ არის მიღებული. უმმე სელემე მოგვითხრობს:

,,ერთხელ ქალიშვილი გამიხდა ავად. მისი მკურნალობისათვის სასმელი ავიღე. ამ დროს ღმერთის შუამავალი შემოვიდა და ეს რა არისო მკითხა. მეც ვუპასუხე, რომ ამით ავადმყოფ ქალიშვილს ვკურნალობდი. ღმერთის შუამავალმა ბრძანა: გამჩენელი ღმერთის გაჩენილების მკურნალობა, მისგან ჰარამად გამოცხადებულ ნივთიერებებით არ ხდება“.

სასმელის შესახებ სხვა ხადისში ნათქვამია, რომ ერთხელ, როდესაც ღმერთის შუამალმა დასალევით სავსე ჭურჭელი დაინახა, ასე ბრძანა:

,,ეს წაიღეთ და კედლის იქით გადაღვარეთ. ეს მათი სასმელია, ვისაც ღმერთისა და განკითხვისა არ სწამთ“.

ვინც ღმერთის წიგნიდან ერთ აიათსაც ატარებს

გულით და სასმელს სვამს, განკითხვის დღეს აიათის თითოეული ასო მას ღმერთის წინაშე მიიყვანს და შედავება. ვისაც ყურანი შეედავება, ის აუცილებლად დამარცხდება. ვაი მას, ვისაც განკითხვის დღეს ყურანი შეედავება!

„ვინც ამ ქვეყნად ჯგუფურად სასმელს სვამს, ღმერთი მათ ჯგუფურადვე შეგზავნის ჯოჯოხეთში. იქ ისინი ერთი მეორეს დაადანაშაულებენ მათი ასეთი მდგომარეობისათვის. ღმერთი მათ გველის შხამს დაალევინებს. უნდა იცოდეთ, რომ ალკოჰოლური სასმელის მსმელიც, დამამზადებელიც, გადამზიდველიც, ვინც აზიდვინებს და ვინც მისგან შემენილ ფულს მოიხმარს, ცოდვები საზიაროა. თუ არ მოინანიებენ, ღმერთი არც მათ ნამაზს მიიღებს, არს მარხვას და არც პილიგრიმობას. თუ პიროვნება გარდაიცვლება, როგორც მსმელი და არ მოინანიებს, მას ჯოჯოხეთის იმ საშინელი სითხის დალევა მოუწევს. ესეც იცოდეთ მათრობელა ყველა სასმელი ჰარამია“.

„ყველაფერი, რაც იწვევს თრობას, ჰარამია, აკრძა-

ლულია.“

შუამავლის ეს სიტყვები გულისხმობს მარიხუანას მსგავს ნარკოტიკის შემცველ ნივთიერებებსაც. ამის შესახებ შემდეგში ვისაუბრებთ.

ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, როდესაც ალკოჰო-ლური სასმელების მიმდევრები ბეწვის ხიდს მიაღწევენ, მათ იქ დახვდებიან და ჯოჯოხეთის სითხეს დაალევინებენ. ის კი ისეთი ცხელია, რომ მისი სიმხურვალე ცას გააპობდა.

დასალევის ზიანის შესახებ ბევრი რამ წარსულშიც დაწერილია. იბნი მესუდს უთქვამს:

„როდესაც მსმელი ადამიანი მოკვდება, ის დამარხეთ და დააბით. შემდეგ ისევ ახადეთ და თუ ნახავთ, რომ სახე ქაა-ბასკენ არ აქვს შეტრიალებული, თავი დაანებეთ“.

„ფუდაი ბინ იადინის ერთ-ერთი მოსწავლე სასიკვდი-ლო სარეცელზე იყო მიჯაჭვული, წმინდა ფუდაის სურდა რომ თავის მოსწავლეს „ქალიმე შაჰადეთი“ (სარწმუ-ნოების აღიარების ფორმულა) გაემეორებინა და ყურში ჩასძახოდა, მაგრამ მისი მოსწავლე ვერანაირად ვერ

იმორჩილებდა ენას. ბოლოს კი აღიარა, რომ არ შეეძლო მისი წარმოთქმა. წმინდა ფუდაი გულამომკვდარი და ნაღვლიანი გამორდება იქაურობას. ცოტა ხნის შემდეგ სიზმრად ნახავს რომ ის მოსწავლე ჯოჯოხეთში ჩაუგდიათ. შეეკითხება რატომ მოხვდით აქ? ის კი თავის საიდუმლოს გაამხელს და მოყვება, რომ სიცოცხლეში ის ერთ-ერთი სენით იყო დაავადებული. ექიმმა კი მას წამლად გამოუწერა წელიწადში ერთხელ ერთი ჭიქა ღვინის დალევა. ისიც მკურნალობის მიზნით წელიწადში ერთხელ სვამდა“.

ახლა წარმოიდგინეთ როგორი დასჯა ღმერთმა სასმელის სამკურნალოდ დალევისათვის ის მოსწავლე და რა მოელით მათ, ვინც არაფრის გულისათვის სვამენ, თანაც ყოველდღე. ღმერთმა დაიფაროთ.

ერთ-ერთ სასმელის მიმდევარს, რომელმაც თავისი საქციელი მოინანია და ღმერთის პატიება სთხოვა, შეკითხნენ მონანიების მიზეზს. მან თავისი ამბავი მოყვა: თურმე ის საფლავებს ძარცვავდა და ამით ირჩენდა თავს. საფლავების ძარცვისას მან შენიშნა, რომ ზოგიერთი

მიცვალებულის სახე ქააბას საპირისპირო მხარეს ჰქონდა შეტრიალებული. ის დაინტერესდა და მიცვალებულის ნათესავებს გამოჰკითხა. ბოლოს დარწმუნდა, რომ ვინც სასმელს ეტანებოდა და მონანიების გარეშე გარდაიცვალა, ხშირად მათი სახეები იყო შეტრიალებული ქააბას საპირისპიროდ. აი ამან მიმიყვანა მონანიებამდე თქვა მან. წარსულიდან ერთ-ერთი პიროვნება ყვება, რომ მას გარდაეცვალა პატარა ბავშვი. გარდაცვალებიდან ცოტა ხნის შემდეგ სიზმარში ნახა, რომ ბავშვს თმები გასთეთრებოდა, ეს რა დაგმართნია შვილო, რატომ გჭირს ასეთ? ბავშვს კი უთქვამს, რომ მის გვერდით დამარხეს ვიღაც ალკუჰოლური სასმელის მსმელი ადამიანი, ვის გამოც ჯოჯოხეთმა სამინლად დაიღრიალა. ამიტომ გაგვითეთრდაო თმები ყველა ბავშვს“. ღმერთმა დაგვიფაროს.

სიკვდილამდე აუცილებელია მონანიება, თორემ შემდეგი ძალიან ცუდი იქნება.

# ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი

კანაფისგან დამზადებული, ასევე სხვა ნარკოტიკის შემცველი მცენარეებისაგან დამზადებული მოსაწევი, ან სხვა საშუალებებიც ალკოჰოლიანი სასმელების მსგავსად აკრძალულია და მისი მომხმარებელიც ისევე დაისჯება. ეს უკანასკნელი, სასმელზე უფრო მეტი ზიანის მომტანია ადამიანის ჯანმრთელობისა და გონებისათვის.

ალკოჰოლიც და ნარკოტიკიც ხელს უწყობს ადამიანებს შორის ჩხუბს, შარიანობასა და მკვლელობას. ორივე მათგანი აიძულებს ადამიანს აშოროს ღმერთის გზას და მიატოვოს ლოცვა.

ზოგიერთი ისლამის მეცნიერი ფიქრობს, რომ მოსაწევის მიმდევრები ისე არ დაისჯებიან, როგორც სასმელის მიმდევრები. ისინი ფიქრობენ, რომ მოსაწევი არ იწვევს თრობის შეგრძნებას და მიჩვევას. ეს სინამდვილეში შეცდომაა. რადგანაც სასმელიც, და მოსაწევიც ორივე იწვევს თრობას და მიჩვევას. ეს უკანასკნელი უფრო მეტადაც.

# ერთი ამბავი

ერთხელ, ძალიან დაღვრემილი და დარდიანი ახალგაზრდა მისულა აბდულმელიქ ბინ მერვანისთან და უთქვამს: მორწმუნეთა მბრძანებელო, მე ძალიან დიდი ცოდვა ჩავიდინე და რომ მოვინანიო, თუ შემინდებს ღმერთი. – მითხარი რა ცოდვა ჩაიდინე ასეთი, ღმერთი გულმოწყალეა, რაც არ უნდა დიდი ცოდვა ჩაგედინოს, მოინანიე და გაპატიებსო უთხრა აბდულმელიქმა. – მე საფლავების მძარცველი ვარ და საფლავებში ძალიან უცნაური რამეები ვნახე. ერთ-ერთ საფლავში ვნახე, რომ მიცვალებულს სახე ქააბას საწინააღმდეგო მხარეს მიეტრიალებინა. მე შემეშინდა და გაქცევა დავაპირე, მაგრამ რაღაც ხმამ შემაჩერა. ის უცნაური ხმა მეკითხებოდა, რატომ არ დაგაინტერესა ამ მიცვალებულის ამგვარმა ყოფამო? მეც შემეშინდა, რატომ მეთქი შევეკითხე. ეს ადამიანი ნამაზს არ ლოცულობდაო მიპასუხა. სხვა საფლავში უფრო დიდი საშინელება ვნახე. მიცვალებულს კისერზე თასმა ჰქონდა და ისე იყო დაბმული. იმავე ხმამ მამცნო, რომ ეს მიცვალებული სიცოცხლეში სვამდა ალკოჰოლს და მონანიების

გარეშე მოკვდათ.

ერთ-ერთ საფლავში ცეცხლის ბოძებით დაბმული მიცვალებული ვნახე. თურმე ის აბდესის აღებისას (განბანვისას) სისუფთავეს არ იცავდა.

ერთ-ერთ საფლავში კი სინათლით განათებულ, სუფთად და ლამაზად ჩაცმულ მიცვალებულს შევხვდი. იგივე ხმამ მამცნო, რომ ამ ადამიანს მთელი სიცოცხლე ღმერთის მსახურებაში გაეტარებინა.

ამის გამგონე აბდულმელიქმა თქვა: ეს ყველაფერი ცოდვიანებისათვის ჭკუის მასწავლებელია, ღვთისმსახურთათვის კი სასიამოვნო ამბავი. ცოდვის ჩამდენებმა სასწრაფოდ უნდა მოინანიონ. გამჩენმა ღმერთმა გვიჩვენოს გზა ხსნისა და დაგვიფაროს ცოდვებისგან. ამინ.

# ალკოჰოლის მავნეობა

აბდულლაჰ ბ. ომარი ასე ამბობს:

„განკითხვის დღეს მსმელებს სახე გაუშავდებათ, თვალები გაუმწვანდებათ, ენა კი მკერდზე ჩამოეკიდებათ და იქიდან საზიზღარი სითხე დაიწყებს დენას, ვინც მათ შეხედავს ყველას შეეზიზღება ისინი“.

საიდმა ღმერთის შუამავლის ნაბრძანები ასე გადმოგვცა:

„არსებობს ოთხი ტიპის ადამიანი, რომლებიც სამოთხის სუნსაც კი ვერ იგრძნობენ, არადა სამოთხის სუნი ხუთასი წლის სავალ მანძილზეც იგრძნობა. ესენი არიან: ძუნწები, სიკეთის დამყვედრებლები, სასმელის მსმელები, და მშობლების ურჩი შვილები“ (თენბიჰულ გაფილინ).

ზოგიერთის ვარაუდით ღმერთის შუამავალს ასე უბრძანებია:

„განკითხვის დღეს ალკოჰოლის მსმელის შეხედულება შემდეგნაირი იქნება: სუნი ლეშზე უარესი, დოქი ყელზე ჩამოკიდებული, ხელში კათხა, კანსა და ხორცს შუა გველები და მორიელები, ფეხზე კი ცეცხლის ფეხ-

საცმელები ეცმება, რომლის სიმხურვალე ტვინს აადუ-
ღებს. მისი საფლავი ჯოჯოხეთის უფრსკრულს დაემ-
სგავსება და ფარაონი და ჰამანი მისი მეგობრები იქნებიან
ჯოჯოხეთში“ (თენბიჰულ გაფილინ).

წმ. აიშე ღმერთის შუამავლის ნაბრძანებს ასე
გადმოგვცემს:

„ვინც ალკოჰოლის მსმელ ადამიანს ერთ ლუკმასაც
შეაჭმევს, გამჩენი ღმერთი მის სხეულს გველებს და
მორიელებს დაახვევს. ვინც მას იმ გზაზე დაეხმარება
სარწმუნოების ძირის გამოთხრაში დახმარებია თითქოს.
ვინც იმ გზაზე ფულს ასესხებს, ერთი მორწმუნის სიკვ-
დილში დახმარებია თითქოს. მასთან ვინც დაჯდება, გან-
კითხვის დღეს ბრმად გაცოცხლდება და ამისგან ვერავინ
გადაარჩენს. ვინც ყოველთვის ალკოჰოლს ეტანება, არც
დააქორწინოთ და არც მასზე დაქორწინდეთ. ალკოჰოლის
გამო თუ ავად გახდა, არ მოინახულოთ. ჩემი შუამავლად
გამომგზავნის მიერ ალკოჰოლის მიმდევრები თორაშიც,
ბიბლიაშიც, ზებურშიც და ყურანშიც დაწყევლილი არიან.
ალკოჰოლის მსმელი ღმერთის შუამავალზე რაც ჩამო-

სულა ციდან, ყველას ერთად უარმყოფელია. დასალევს მხოლოდ ურწმუნო ჩათვლის ალალად. ვინც დასალევს ალალად ჩათვლის, მე მისგან შორს ვარ როგორც ამქვეყ-ნად, ისე იმქვეყნად“.

აბუ ლეის სამარყანდი ასე ამბობს:

„ალკოჰოლიან სასმელებს ერიდეთ, რადგანაც მასში ათი ცუდი სენია:

1 – ვინც ალკოჰოლს მიიღებს, გიჟს ემსგავსება. ბავშვების სამასხარაო გახდება და ფხიზელთა გვერდით ცუდად წარმოჩნდება.

იბნი ედიდმა ეს მდგომარეობა იგავის სახით ასე გაგ-ვიმარტა:

„ერთ დღეს ბაღდადის ქუჩებში ერთ მთვრალს შევხდი. იმდენად მთვრალი იყო, რომ შუა ქუჩაში შარ-დავდა, მერე კი ხელით იღებდა და სახეზე ისვამდა. თან ასე ამბობდა: ღმერთო შემიწყალე, ღმერთო გამასუფთავე“.

„ერთ მთვრალს კი ქუჩაში აღებინა და წვერზე ჩამო-ეღვარა. მივიდა ერთი ძაღლი და წვერის ლოკვა დაუწყო. ამ დროს ასე ამბობდა: ეი ჩემო ბატონო, ცხვირსახოცს ნუ

იჭუჭყიანებთ“.

2 – ალკოჰოლი ქონებას ანადგურებს და გონებას ართმევს. წმ. ომარმა ჰკითხა ღმერთის შუამავალს სასმელზე თქვენი შეხედულება როგორიაო? – ის ქონებას ანადგურებს და გონებას ართმევსო“ უპასუხა მან.

3 – ალკოჰოლი მეგობრებსა და ძმებს შორის მტრობას იწვევს.

ამის შესახებ ერთი აიათი ასეთია:

**„სატანას სწადია სიძულვილი და მტრობა თქვენ შორის ღვინითა და მღერით ჩამოაგდოს“.** (მაიდე 91).

4 – სასმელის სმა ადამიანს ღმერთის ხსენებისგან და ლოცვისგან ჩამოაშორებს.

„ღვთისა და ლოცვის მოგონებას დაგაშორებსთ. მაშ არ ეკრძალებით??“ (მაიდე 91).

ამ აეთის გამგონე წმ. ომარმა თქვა: „გამჩენო ღმერთო, ჩვენ მისგან განვთავისუფლდით!“

5 – სასმელს ვინც სვამს შეიძლება იმრუშოს კიდეც, რადგანაც ალკოჰოლი ბევრი არასწორი საქციელის მიზეზია.

6 – ალკოჰოლი ყველა ბოროტების გასაღებია. მსმელებისთვის ყველანაირი ცოდვის ჩადენა იოლდება.

7 – მსმელი ადამიანი თავისი საქციელით აწუხებს მის მფარველ ანგელოზებს. დასალევის სუნი და იმ ცუდ გარემოში მოხვედრა ანგელოზებისათვის წამებაა. ვინც არ გაწუხებს, ის არც შენ უნდა შეაწუხო.

8 – ვინც დალევს მისი სასჯელი ოთხმოცი როზგია. ვინც ასე არ დაისჯება, მას იმქვეყნად ცეცხლის როზგით დასჯიან.

9 – მსმელისთვის ცის კარები დაკეტილია, რადგანაც დალევიდან ორმოცი დღის განმავლობაში მისი სიკეთე არ ამაღლდება ზეცად. არც მუდარა მიიღება.

10 – მსმელი ადამიანი თავისთავს ხიფათში აგდებს და „იმანით“ (რწმენით) სიკვდილის შესაძლებლობას ისპობს.

ეს ჩამონათვალი ამქვეყნიური სასჯელებია. ხოლო იმქვეყნიური ძნელად ჩამოსათვლელია, რადგანაც ძალიან მრავალრიცხოვანია. ამქვეყნიურ, დროებით, ვითომდა სიამოვნებაში ნუ გაცვლით იმქვეყნიურ, მუდმივ სიამოვნებას.

მუყათილ ბ. სულეიმანმა შემდეგი მოგვითხრო:

სამოთხეში მოხვედრილები სამოთხის კარებთან რომ მიაღწევენ ორი წყარო დახვდებათ. მათგან პირველს რომ შესვამენ, შინაგანად განიწმინდებიან, ხოლო მეორეში იბანავებენ და ამრიგად გარეგანადაც განიწმინდებიან. ეს შემდეგ აეთმია ასე გადმოცემული:

„მშვიდობა იყოს თქვენთან! ქველ იყავით, სამოთხეში შედით მარად საცხოვრებლად“ (სურა ზუმერ, აიათი-73).

ამის შემდეგ რჩეულ აქლემებს მოჰგვრიან. სულ იაგუნდებითა და მარგალიტებით მორთულს. მათ კი ორ წყვილ ტანსაცმელს ჩააცვამენ. ის ტანისამოსი რომ დედამიწაზე იყოს, დედამიწა გასხივოსნდებოდა. ყველას სათითაოდ მცველად ანგელოზებს დაუნიშნავენ და სამოთხეში ვერცხლის კოშკებს მოუჩენენ თავშესაფარად. მათ აურაცხელი მოსამსახურე შემოეგებებათ სამოთხეში ვერცხლის თასებით. ეს ბედნიერი ადამიანები პირველივე კოშკთან დააპირებენ ჩამოსვლას, მაგრამ მათი მფარველი ანგელოზი ურჩევს გააგრძელონ გზა უფრო მაღალი საფეხურისკენ.

გზას გააგრძელებენ და ცოტა ხნის შემდეგ შეხვდებათ

უფრო უკეთესად მორთულ მოკაზმული კოშკი. აქაც შეხვდებათ მომსახურების ჯარი ვერცხლის თასებით. ანგელოზები მათ მიესალმებიან და პასუხსაც მიღებენ.

ის ღმერთის რჩეული ადამიანები აქაც მოისურვებენ ჩამოსვლას და დარჩენას, მაგრამ მათი მფარველი ანგელოზი აქაც არ დაანებებს დარჩენას და ეტყვის, რომ მათთვის წინ უკეთესი რამეებია.

გააგრძელებენ.

ამჯერად მათ წინ წითელი იაგუნდის კოშკი გადაიშლება. იმდენად ლამაზი და გამჭვირვალეა, რომ გარედან შიგნით და შიგნიდან კი გარეთ ყველაფერი ჩანს. აქ უფრო ლამაზი მოსამსახურეები შემოხვდებიან. კოშკში შესვლისას კი აუღწერელი სილამაზის ანგელოზები შემოხვდებიან. ტანთ სამოცდაათი წყვილი ტანისამოსი აცვიათ, ერთი მეორეზე უკეთესი.

ეს ანგელოზები იმდენად ლამაზი არიან, რომ სახეში თუ ჩახედავთ, საკუთარ სახეს დაინახავთ. მათ სილამაზეს და ნათებას ტანსაცმელიც კი ვერ ფარავს. ოთახები კი ოქროსია, ოქროსივე ავეჯით. ოთახში დგას დივანი,

რომელიც სამოცდაათი კოშკის ფასია. იქ შემსვლელი იქ დაჯდება. რა ხილს და ნუგბარს საჭმელს მოისურვებს, მასთან გაჩნდება. ყველა სურვილი შეუსრულდება.

ეს ყველაფერი მათთვისაა, ვინც იმსახურებს. მათთვის, ვინც ალკოჰოლს მოერიდა, ბოროტებას მოერიდა.

ამის შემდეგ მუქათილ ბ. სულეიმანმა ჯოჯოხეთი დაახასიათა.

ჯოჯოხეთისთვის განწირული ადამიანები ჯოჯოხეთს რომ მიუახლოვდებიან, კარები გაიღება და იქ რკინის როზგიანი ანგელოზები დახვდებიან.

ჯოჯოხეთში შესვლისთანავე თითოეულ მათგანს თავისი წამება ეწყება. გველი შემოეხვევა და უკბენს, ცეცხლი შემოეხვევა, დასწვავს. ანდა დამსჯელი ანგელოზი რკინის როზგს ურტყამენ და ისიც ამ ერთი დარტყმით ორმოცი წლით ჯოჯოხეთში გადაეშვება. ძირამდე კი მაინც ვერ ჩააღწევს. ცეცხლის ალი ჯერ მაღლა შეისვრის და მერე ძირს დაანარცხებს.

ეს შემდეგ აეთშია გადმოცემული.

„...ცეცხლმა კანი შეუჭამოს თუ არა, მეორე შევ-

მისით, რათა სასჯელი ვაგემებინოთ. ღმერთი შემძლებელ და ბრძენია“ (სურა ნისა–58).

მუქათილ ბ. სულეიმანი განაგრძობს:

როგორც ცნობილია, დღეში სამოცდაათჯერ იცვლება ადამიანის კანი ჯოჯოხეთში. როცა მოსწყურდებათ, წყალს მოითხოვენ, მაგრამ მათ მდუღარე წყალს მიაწოდებენ. წყლის პირთან მიახლოვებისთანავე მისი სიმხურვალე სახეს მოუხარშავს და ხორცი დასცვივდებათ. წყალს პირს რომ შეახებენ, კბილები დასცვივდებათ და ღრძილები დაულპებათ. შესმისას კი შიდა ორგანოებს დასწვავს, რაც გააჩნიათ სხეულში, გაადნობს და მისპობს. ან მდგომარეობაშიც კი განაგრძობენ დამსჯელი ანგელოზები მათ ცემას რკინის როზგებით. ამ დროს ისინი ევედრებიან ჯოჯოხეთის მცველებს, სთხოვენ ღმერთს რათა „შეუმსუბუქოს მათ ტანჯვა თუნდაც ერთი დღით“. მაგრამ მათ არც კი ესმით ეს ვედრება. ორმოცი წლის განმავლობაში ჯოჯოხეთის უფროსს, მაგრამ მათ არც ის გასცემს პასუხს.

ამის შემდეგ ერთმანეთში დაიწყებენ საუბარს და

გზების ძიებას თუ როგორ უშველონ თავს. „მცველებს ვეხვეწეთ არ შეისმინეს, ჯოჯოხეთის უფროსს ვეხვეწეთ არც იმან გვიპასუხა. მოდით, ვიყვიროთ ხმამაღლა, იქნებ გვეშველოსო“. მაგრამ არც ეს გაჭრის. ბოლოს იტყვიან მოდით მოვითმინოთო და მოითმენენ, მაგრამ არც ეს მოუტანს რამე სარგებელს.

აეთში ასეა ნაბრძანები:

„...ჩვენ ტანჯვას უჩივლებთ, თუ მდუმარებით ავიტანთ, ჩვენთვის სულ ერთია. თავის შესაფარებელი აღარ გაგვაჩნია“.(სურა აბრამ აიათი-21)

აი ასეთი წამებაა განკუთვნილი მათთვის.

მაგრამ მუსლიმანსაც შეიძლება წამოსცდეს მკრეხელური სიტყვა, როდესაც დალევს ალკოჰოლს. საშიშია აგრეთვე სიკვდილისას რწმენის გარეშე არ დარჩეს. ამიტომ სასმელს თავი უნდა დაანებოს. არც მსმელებს უნდა შეერიოს, რადგანაც მათთან ერთად თუ იქნება ხანგრძლივი ურთიერთობის მანძილზე შეიძლება მათი ცუდი ჩვევა გადაედოს. ვისაც სასმელი სურს განკითხვის დღეზეც უნდა იფიქროს. განკითხვის დღის საშინელებებზე

რომ ჯეროვნად დაფიქრდეს, ადამიანის გული სასმელისკენ აღარ გაიწევს. არც მსმელებს დაუახლოვდება.

ჰასან ბასრის ასე უთქვამს:

„როგორც ჩვენთვის ცნობილია, ადამიანი, რომელიც ალკოჰოლურ სასმელს დალევს, სხვადასხვა საშინელებებს შეეყრება“.

ამრიგად:

1 – გული გაუშავდება; 2 – მფარველი ანგელოზები დაშორდებიან; 3 – სიკვდილის ანგელოზი მიატოვებს; 4 – ღმერთის შუამავალიც მიატოვებს; 5 – ღმერთის შუამავალის ასხაბიც (მეგობრები) მიატოვებენ; 6 – ჯაბრიელიც მიატოვებს; 7 – ისრაფილიც მიატოვებს; 8 – მიქაილიც მიატოვებს; 9 – ცაც მიატოვებს; 10 – მიწაც მიატოვებს; 11 – ზღვის თევზებიც მიატოვებენ; 12 – მზე და მთვარეც მიატოვებენ; 13 – ცის ვარსკვლავებიც მიატოვებენ; 14 – გაჩენილებიც მიატოვებენ; 15 – სამოთხის კარები მისთვის დაიხურება; 16 – ჯოჯოხეთის კარები მისთვის გაიხსნება; 17 – ცის თაღის მზიდველი ანგელოზებიც მოშორდებიან; 18 – ცის თაღიც მიატოვებს; 19 –

დიადი ღმერთიც მას მიატოვებს.

ენეს ბინ მალიქი ღმერთის შუამავლის ნაბრძანებს იხსენებს:

„გამჩენმა ღმერთმა მე გამომგზავნა, როგორც სამყაროს სამართალი და წყალობა. ამის გარდა გამომგზავნა მთელი დასაკრავი ინსტრუმენტებისა და უმეცრების ხანის წესების მოსასპოვებლად.

ამ ქვეყნად ვინც ალკოჰოლს დალევს, საიქიოში (სამოთხის) შარბათი ამიკრძალია.

ხოლო ვინც ამქვეყნიურ დასალევს თავს დაანებებს, მას იმ წმინდა სამოთხის შარბათს დაალევინებ“.

ევს იბნი სემანს ერთ დღეს ღმერთის შუამავლისთვის (ს. ა. ვ.) ასე უთქვამს:

„ვფიცავ მას, ვინც შენ ჭეშმარიტ წინასწარმეტყველად გამოგზავნა, რომ ჩვენ თორაში ოცდახუთ ადგილზე ვნახეთ ალკოჰოლური სასმელი ჰარამად შერაცხული. სირცხვილი მსმელებს“.

ვინც ამქვეყნად დალევს განკითხვის დღეს, გამჩენელი ღმერთი მას ჯოჯოხეთში მყოფების სხეულებიდან

გამონადენ სითხეს დაალევინებს.

ათა იბნ საიდი აბდურაჰმან სელემის ნათქვამს იხსენებს:

ეთიოპიაში ერთ–ერთმა ჯგუფმა ალკოჰოლიანი სას–მელი დალია. იმ დროს კი ეთიოპიის მმართველი მუავიე იბნ ებუ სუფიანი იყო.

ამ ადამიანებს რომ პასუხი მოსთხოვეს, მათ თავი იმარ–თლეს და თქვეს, რომ სასმელი მათზე ალალი იყო, რად–განაც ღმერთს ასე უბრძანია:

„ვინც იწამოს და კეთილი ჰქმნას, დამნაშავედ არ ჩაი–თვალოს მისთვის რაც სჭამოს..“(სურა მაიდე. აიათი–93).

მუავიე იბნ აბუ სუფიანმა ეს მდგომარეობა ხალიფა ომარს მისწერა.

წმინდა ომარმა პასუხად მისწერა, რომ ყველა ის ადა–მიანები, სანამ გარშემო ხმა გავრცელდებოდეს აქ გამოგ–ზავნეთ.

ხალიფა ომარის წინაშე რომ წარადგინეს, მანაც მოსა–თათბირებლად მეგობრები (ასხაბი) შეკრიბა და მათთან ერ–თად სათათბირო შექმნა.

გამოითქვა აზრი, რომ ამ ადამიანებმა გამჩენელ

ღმერთს ცილი დასწამეს. სარწმუნოებაში ისეთი რამის და-მკვიდრება მოისურვეს, რასაც ღმერთი კრძალავს, ამი-ტომ ხალიფა ომარს სთხოვეს დამნაშავეების თავები დააყ-რევინეთ.

წმ. ალი არ დაეთანხმა ამ აზრს და გაჩუმდა.

წმ. ომარმა მას შეეკითხა თავისი შეხედულება ამ საქ-მეზე.

წმ. ალიმ ურჩია, რომ მოეთხოვა მათთვის მონანიება. თუ არ მოინანიებენ თავები მოკვეთე და თუ მოინანიებენ, ორმოცი როზგით გააროზგინეთ.

წმ. ომარს ჭკუაში დაუჯდა წმ. ალის მოსაზრება და მათ მონანიება მოსთხოვა. მათაც მოინანიეს და მხოლოდ ორმოცი როზგით დაისაჯნენ.

იქრიმე, იბნი აბბასის ნათქვამს იხსენებს:

„იმ აიათის ჩამოსვლამდე, რომლითაც ალკოჰოლიანი სასმელი იკრძალებოდა ვინც სვამდა და გარდაიცვალა რა მოუვლით მათ?“ უკითხავთ ზოგიერთებს.

ამის გამო ეს აეთი ჩამოვიდა:

„ვინც იწამოს და კეთილი ჰქმნას, დამნაშავედ არ

ჩაითვალოს მისთვის რაც შწამს.“ (სურა მაიდე. აიათი-93)

ე. ი. სანამ ჰარამი გახდებოდა, მანამდე მსმელებს არ ჩაეთვლებათ ცოდვად. ყველაზე საუკეთესო ღმერთმა იცის.

## ალკოჰოლური სასმელისა და აზარტული თამაშების ჰარამად გამოცხადება

ის, რომ ალკოჰოლური დასალევი და აზარტული თამაშები ჰარამია, დამტკიცებულია აიათებით და ჰადისებით. ამის უარყოფა ადამიანის რწმენისგან ჩამოშორების მიზეზი გახდება. განსაკუთრებით ღვინის ჰარამად შერაცხვაა წინა პლანზე წამოწეული.

აიათი, რომელსაც ახლა წარმოგიდგენთ პირველია, რომელიც ღვინის შესახებ ჩამოვიდა:

„ნაყოფთა შორის, გაქვსთ ინდის ხურმა და ყურძენი, რისგანაც აკეთებთ მათრობელ სასმელსა და საამურს საჭმელსა. ამაში სასწაულია მათთვის, რომელნიც ისმენენ“.

(სურა ნაჰლ, აიათი–67).

ეს აიათი რომ ჩამოვიდა, მუსულმანები ჯერ კიდევ სვამდნენ ალკოჰოლურ სასმელს, რადგანაც ის ჯერ კიდევ ჰარამად არ იყო გამოცხადებული. ცოტა მოგვიანებით კი წმ. ომარის და წმ. მუაზის შეკითხვების თაობაზე ბაქარა სურას 219–ე აეთი ჩამოვიდა.

„ღვინისა და მღერისა (ყუმარი) გკითხონ. უთხარი მათ: ერთშიაც და მეორეშიაც იქნება ბოროტება და სარგებლობა ადამიანთათვის, მაგრამ ბოროტება ჰსძლევს სარგებლობას, რომელიც მათ მოაქვთ.“ დიდი ცოდვაა თან ადამიანებისთვის (ვითომდა ზოგიერთი) სარგებელი მოაქვს. ამათი ცოდვა კი სარგებელზე გაცილებით მეტია...“.

ამ აეთის ჩამოსვლისას საზოგადოების ერთმა ნაწილმა განაცხადა, რომ დასალევი და ყუმარი მათთვის ჰარამი არ იყო. უფრო მეტიც, ის სასარგებლოთ და განაგრძეს სმა. ზოგმა კი მიხვდა, რომ ესენი დიდი ცოდვა იყო და დასალევს თავი დაანებეს.

აბდურახმან იბნი აუფს ერთხელ წვეულება გაუმართავს, ზოგი სახაბეები (მუჰამადის მეგობრები) დაუპატი–

ქებია და მათთვის ღვინო მოუტანია. მათაც დაულევიათ და დამთვრალან. როდესაც საღამოს ლოცვის დრო მოსულა, ერთ–ერთი იმამად აურჩევიათ და იმასაც ნამაზი ულოცვებია. მაგრამ როდესაც ის „ქაფირუნ“–ის სურას კითხულობდა, შეეშალა ერთ–ერთი აიათი, რომელშიც ნათქვამია:

„მე თქვენს ნათაყვანებ ღმერთებს თაყვანს არ ვცემ“. მან კი ეს აიათი შემდეგ ნაირად წარმოთქვა: „მე თქვენ ნათაყვანებ ღმერთებს თაყვანს ვცემ“. ამის გამო გამჩენელმა ღმერთმა შემდეგი აიათი გამოგზავნა:

„მორწმუნენო! ნუ ილოცავთ, როცა მთვრალ იყვნეთ: მოიცადეთ ვიდრე წარმოსათქმელ სიტყვებს გაიგებდეთ“. (სურა ნისა, აიათი–43).

ამრიგად დასალევი თავდაპირველად მხოლოდ ნამაზის დროს გამოცხადდა ჰარამად. ამის შემდეგ სახაბეებმა თქვეს, რომ ნამაზი მათ აღარ აძლევდა არანაირ სარგებლობას და დასალევს მთლიანად დაანებეს თავი. სახაბეების ერთი ნაწილი ღამის ნამაზის შემდეგ ლევდა დასალევს, მერე ფხიზლდებოდა და დილის ნამაზს ლოცულობდა. მერე ისევ სვამდა და გამოფხიზლების შემდეგ შუადღის ნა–

მაზის ლოცულობდა. ნამაზის დროს ლოცვაზე დამპატიჟე-
ბელი ხალხს აფრთხილებდა რომ მთვრალები ნამაზს არ მი-
ახლოვებოდნენ.

მოგვიანებით უთბან იბნ-ი მალიქმა წვეულება გამა-
რთა და ზოგიერთი მუსლიმანი დაპატიჟა. მათ შორის იყო
სად იბნი ვაკკასიც. მასპინძელმა მათ შემწვარი აქლემის
თავი მიართვა. გემრიელად მიირთვეს და გონების დაკარგ-
ვამდე სვეს. შემდეგ მთვრალებმა ერთიმეორეს დაუწყეს
პაექრობა გვარიშვილობაში, თან გამართეს კაფიაობა (გა-
ლექსვა). სად იბნი ვაკკასმა ერთი ლექსი თქვა, რომელ-
შიც თავის გვარს მაღლა აყენებდა. ამის გამო ადგილობრი-
ვებიდან ერთ-ერთმა აქლემის ყბის ძვალი აიღო და იბნი
ვაკკასს თავში ჩაარტყა, რის გამოც მან საკმაოდ ღრმა
ჭრილობა მიიღო. სად იბნი ვაკკასი ღმერთის შუამავალთან
გაიქცა და უჩივლა.

ამის გამო წმ. ომარმა ღმერთს შესთხოვა:

„ღმერთო! ღვინის შესახებ ყველაფერი ღიად გვაც-
ნობე“.

ამის გამო გამჩენმა ღმერთმა მაიდე სურას 90-ე და 91-

ე აეთი გამოგზავნა, რომელიც საბოლოოდ ეხებოდა ღვინოს. ამრიგად ღვინის შესახებ ყველაფერი ცნობილი გახდა.

„მორწმუნენო! ღვინო, მორინი, ბუთები და ისრით მკითხაობა სატანას მოგონილი სისაძაგლეა, ერიდეთ მათ და ნეტარ იქმნეთ. სატანას სწადია სიძულვილი და მტრობა თქვენ შორის ღვინითა და მღერით ჩამოაგდოს და ღვთისა და ლოცვის მოგონებას დაგაშოროსთ. მაშ არ ეკრძალებით? ღმერთს დაემორჩილეთ, წინასწარმეტყველს დაემორჩილეთ და თავსაც გაუფრთხილდით, ვინადგან თუ გადაუხვიეთ, იცოდეთ მოციქული მხოლოდ ქადაგებას არის დავალებული.“ (მაიდე სურა: აიათი 90-91)

დასალევის შესახებ ჩამოსული ამ ბოლო აეთების შემდეგ წმ. ომარმა თქვა: „თავი დაგვინებებია, გამჩენელო!“

ამ აიეთის ჩამოსვლის შემდეგ, რომელიც ამტკიცებდა ღვინის ჰარამობას, მთელი ღვინო გადაღვარეს. იბნი ომარი იხსენებს, რომ: როდესაც გაუგიათ ღვინის ჰარამად შერაცხვა, მგზავრად ყოფილან წასული, თან ღვინო ჰქონიათ წა-

ღებული, მათ მაშინვე გადაუღვრიათ მთელი ღვინო და ქურქლებიც სულ დაუმტვრევიათ, ზოგი კი ტალახით გამოურეცხავთ. ამის შემდეგ მედინის ქუჩები დაღვრილი ღვინით ყოფილა სავსე რამოდენიმე ხნით. როცა გაწვიმდებოდა ქუჩებში კაი ხანს ღვინის ფერი წყალი დგებოდა და ღვინის სუნი იდგა.

წმ. ენესმა ბრძანა, რომ იმ დროისთვის ღვინო იყო არაბებისათვის ყველაზე საყვარელი რამ და მასზე თავის დანებება ზალიან გაუჭირდათ.

წმ. გაფფა ღვინის ჰარამად გამოცხადების დროს ასეთ სიფრთხილეს, ასე თანდათანობით აკრძალვის მიზეზს შემდეგნაირად ხსნის:

რადგანაც საზოგადოება ღვინოზე ძალიან იყო შეყვარებული და მასთან ერთად ის ვაჭრობაშიც ძალიან მომგებიანი იყო, მასზე უეცრად და ერთი ხელის მოსმით თავის დანებება რა თქმა უნდა გაუძნელდებოდათ. ამიტომ მოხდა ასე გაადვილებით.

მთავარანგელოზი გაბრიელი ერთხელ ღმერთის შუამავალთან მისულა და უთქვამს, რომ გამჩენელი ღმე-

რთი ჯაფერი ტაიარს მადლობას უხდის მისი ზოგი საქცი-ელის გამო, რომელიც მას გააჩნდა უმეცრების ხანაში და გამუსლიმანების შემდეგაც არ მოუშლია.

ამის გამო ღმერთის შუამავალი ჯაფერი ტაიარს შეეკითხა, თუ რომელ საქციელზე იყო საუბარი. გამჩენელ ღმერთს რომ შენთვის არ ეცნობინებინა ამის შესახებ მე არც ვახსენებდით უთქვამს ჯაფერი ტაიარს და თავისი ნამოქმედარი ჩამოუთვლია, რომელიც თვით გამჩენმა მოუწონა.

პირველი: არასოდეს დამილევია ალკოჰოლიანი სასმელი, რადგანაც ის ჩემი აზრით, ადამიანს გონებას ართმევს და მე გონების წართმევა კი არა გონების მომატება და გამლიერება უფრო მჭირდება.

მეორე: არასოდეს მიცია თაყვანი კერპებისათვის, რადგანაც მივხვდი, რომ მათ არაფერი შეეძლოთ, არც სარგებლის მოტანა და არც ზიანის.

მესამე: რადგანაც ოჯახზე ძლიერად ვიყავი მიჯაჭვული, არც მეუღლისთვის მიღალატია.

მეოთხე: არასოდეს მითქვამს ტყუილი, რადგანაც ეს

სულმდაბლობად მიმაჩნია.

„არსებობს ვარაუდი, რომლის მიხედვითაც წმ. ალის ასე უბრძანებია: დასალევის ერთი წვეთიც რომ ჭაში ჩავარდეს და იმ ადგილზე მინარეთი აღმართონ იმ მინარეთზე არ ვიკითხავ. ან, კიდევ დასალევის ერთი წვეთიც რომ ზღვაში ჩავარდეს, მერე ის ზღვა დაშრეს და მის ადგილზე ბალახი ამოვიდეს, იქ საქონელსაც არ ვაბალახებ“. (ალუსი 2–112)

არსებობს აგრეთვე ვარაუდი, რომლის მიხედვითაც იბნი ომარს უთქვამს: „თითი რომ დასალევში ჩავყო, ის თითი ჩემი აღარ იქნება. ე.ი. მას მოვიჭრი და მოვიშორებ“. (ალუსი 2–112)

ახლა განვმარტოთ მაიდეს სერას 90-ე აიათში ნახსენები სიტყვა „ჰამრ“-ი, მხოლოდ ღვინოს ნიშნავს, თუ დანარჩენ ალკოჰოლურ სასმელებსაც გულისხმობს. ყურანის საუკეთესო განმმარტებელი ღმერთის შუამავალი ასე ბრძანებს:.

„ყველა, რაც იწვევს თრობას „ჰამრია“ და ყველა „ჰამრ“-ი ჰარამია“.

ყველაფერი, რაც ალკოჰოლს შეიცავს ჰარამია, მისი არც ჭამა შეიძლება და არც სმა. არა აქვს მნიშვნელობა რაოდენობას. ცოტაც და ბევრიც ჰარამია. როგორი ჰარამიცაა ღვინო და არაყი, თავიანთი ალკოჰოლის დიდი შემცველობით, ისე ჰარამია ლუდიც, მიუხედავად ალკოჰოლის მცირე შემცველობისა. ალკოჰოლის სიმცირე არ გამორიცხავს მის ჰარამობას. კიდევ ერთხელ დავიხმაროთ ღმერთის შუამავლის ნათქვამი:

„რაც თრობას იწვევს ბევრიც და ცოტაც ჰარამია“.

წმ. აიშე იხსენებს, რომ თურმე ღმერთის შუამავალს შეეკითხნენ თაფლისაგან დამზადებულ ღვინოს შესახებ. მან კი უპასუხა:

„მათრობელა ყველა დასალევი ჰარამია“.

როგორც უმმუ სელემეს ნათქვამიდანაა ცნობილი ღმერთის შუამავალმა აკრძალა ყველაფერი, რაც იწვევს თრობას ან გაბრუებას.

იმამი ნევევი კი ბრძანებს, რომ ამ საკითხებით ისაა ნაჩვენები, რომ ყველა სიმთვრალის გამომწვევი სასმელი ჰარამია.

„ყველა მათრობელა სასმელი ჰარამია“ ღმერთის შუამავლის ამ ჰადისის შესახებ ჰატტაბი ასე ამბობს: ამ ჰადისში არის მტკიცებულება იმისა, რომ ყველაფერი რაც იწვევს თრობას ჰარამია რაც არ უნდა იყოს ის. ეს გამოთქმა შეგვიძლია შევადაროთ შემდეგ გამონათქვამს.

მაგ: „ყველა საჭმელი, რაც აძღობს – ჰარამია“, ე. ი. საკმარისია მისით გაძღომა შეიძლებოდეს. აქედან გამომდინარე ღვინო, როგორც ერთერთი სიბინძურე ჰარამია და მისი ერთი წვეთიც არ ისმება, არც გამოიყენება და არც ყიდვა-გაყიდვა შეიძლება. მაგრამ სხვადასხვა ალკოჰოლის შემცველი ნივთიერებების, ღვინის გარდა, ყიდვა-გაყიდვა შეიძლება ნებადართულად იქნეს მიჩნეული იმ პირობით, თუ არ იქნება გამიზნული დასალევად.

ე. ი. გამოდის, რომ ყურანში საბოლოოდ და ღიად დამტკიცებულია ყურძნის ღვინის აკრძალულობა. დანარჩენი მათრობელა ნივთიერებების ჰარამობა კი მტკიცდება მათივე თვისებებიდან გამომდინარე (ისინი იწვევენ თრობას) და ზემოთ მოყვანილი ხადისებით.

სიტყვა „ჰამრ“-ი, რომელიც ყურანშია ნახსენები,

შეიძლება მოიცავდეს ყველა მათრობელა ნივთიერებას, ამის მტკიცება შეიძლება, მაგრამ ეს, ისეთი მტკიცე და საბოლოო არ იქნება, როგორც მტკიცება იმისა, რომ ნახსენებია ყურძნის ღვინო. მაშასადამე, ისლამის სარწმუნოებაში ყველა მათრობელა ნივთიერებების დასათრობად გამოყენება ჰარამია. მაგრამ ყურძნის ღვინო თვითონაა ჰარამი. ამის უარმყოფელი ქაფირია (ურწმუნოა).

„ყურძნის ღვინო და მისგან დამზადებული სხვადასხვა მათრობელა სასმელი თვითონ ითვლება „სიბინძურედ“; სხვები კი საეჭვოა. მაგალითად თუ ტანსაცმელს ღვინო, შამპანური, არაყი და კონიაკი შეეხება, ნამაზის ლოცვა არ შეიძლება, თუ არ იქნა გარეცხილი.

სპირტი, ლუდი და სხვა, რომლებიც ყურძნის ღვინისგან არ არის დამზადებული, მიუხედავად იმისა, რომ დალევა დაუშვებელია, ტანსაცმელზე დაღვრის შემთხვევაში არ არის იმის მტკიცებულება, რომ ლოცვა არ შეიძლება. თუმცა ორივე მიმდევრობაში მიღებულია აზრი, რომ ღვინის გარდა დანარჩენი ყველა ნივთიერებაც ჰარამია, ბევრიც და ცოტაც. გამომდინარე ჰადისიდან: „მათრობელა

ბევრიც და ცოტაც ჰარამია“ (დუჰუდ, სუნან 2/559).

წმინდა ასუსი ბრძანებს, რომ აქ მოყვანილ ჰადისებს გარდა კიდევ არსებობსთ სხვა ჰადისები. შემდეგ კი აგრძელებს: „ვფიცავ, რომ ახლანდელ ცოდვილებს ღვინოზე მეტი სურვილი სხვა მათრობელა სასმელებისა აქვთ და ისინი სხვადასხვა სახელებს არქმევენ სასმელებს, რათა დაფარონ მათი ჰარამობა და ამგვარად მორწმუნეებისათვის მისაღები გახადონ. მაგრამ სინამდვილე მათი წარმოდგენისგან შორსაა“ (ასური რებულ იმრანი 2/119)

## მათრობელა ნივთიერებების აკრძალვის მოტივი

როგორც ცნობილია, ღმერთი „მალიქი ჰაქიმი“ ანუ სრულყოფილი გამჩენია.

უსაზღვროა მისი წყალობა და ყურადღება თავის გაჩენილებისადმი. რა თქმა უნდა ყველა მის ბრძანებაც თავად წყალობაა. გადარჩენის და ბედნიერების გარანტი. ხოლო რაც მის მიერ აკრძალულია, უეჭველად უდიდესი ზიანის მომტანია ამქვეყნადაც და საიქიოშიც. თუ ჩვენც კარგად დავფიქრდებით, ნაწილობრივ თავადვე მივხვდებით.

აი ამაშია მათრობელა ნივთიერებების აკრძალვის დედააზრი და ამ დედააზრის ჩასაწვდომად გამჩენი ღმერთი სიღრმისეულად დაფიქრებისაკენ მოგვიწოდებს.

ალკოჰოლიანი სასმელები შეიცავს სასიკვდილო შხამს. მათ შეუძლიათ მოგვანიჭონ ხანმოკლე სიხარულის შეგრძნება. ზოგისთვის ის ფულის შოვნის საშუალებაა. ზოგი კი, ერთად თავს მოიყრიან და გარკვეული დროით, მოლხენის სახით შეუძლიათ ისიამოვნონ. აი ესენია მთელი მისი, ვითომდა დადებითი მხარეები. მაგრამ მიდით დავფიქრდეთ, ღირს კი ასე ცოტა, თანაც დროებითი და უმნიშვნელო სარგებლობისათვის იმდენი ზიანის ატანა, რაც ალკოჰოლს მოაქვს?!

ადამიანი, სასმელის გამო, ეწინააღმდეგება რა გამჩენი ღმერთის ნებასურვილს, თავს წირავს ჯოჯოხეთში საწამებლად. მსმელებს რა საშინელი სასჯელიც ემუქრებათ, ყველა მორწმუნე ადამიანმა იცის.

რაც შეეხება ამქვეყნიურ ზიანს, რამდენი ქონება და სიმდიდრე, რამდენი ძვირფასი დრო იკარგება მისთვის, რამდენი საშინელება დატრიალდება მის გამო ოჯახში თუ

ოჯახების შორის. რამდენი დავიდარაბა და უსიამოვნება შეაქვს მას საზოგადოებაში. მისი ჯანმრთელობისადმი ზიანიც უსაზღვროა. სამედიცინო ლიტერატურაში ნათლადაა წარმოდგენილი თუ რაოდენ საზიანოა ალკოჰოლი ღვიძლის, კუჭის, ნაწლავების, გულის, ნერვული სისტემისათვის და ა. შ.

ამ ყველაფერთან ერთად ალკოჰოლს აქვს თვისება მიიჩვიოს ადამიანი. მერე კი დროთა განმავლობაში ადამიანი ლოთად ჩამოყალიბდება და ავადმყოფობასთან ერთად ყველას სასაცილოთ და სამასხარათ ხდება.

ასეთი ადამიანების შვილებიც ან მახინჯი, ან კიდევ გონებანაკლული იბადებიან.

რა თქმა უნდა ალკოჰოლის სულიერი ზიანი უფრო დიდია, ვიდრე ფიზიკური, რადგანაც ამ მოქმედებაში ღმერთის ბრძანების შეუსრულებლობა იკვეთება. ისევ ღმერთს უნდა შევაფაროთ თავი, რათა ასეთ საფრთხეში არ ჩავვარდეთ.

უმეცრების ხანაში წმინდა აბას იბნი მირდასს ჰკითხეს: რატომ არ სვამ დასალევს, ის ხომ გამბედაობას მოგი-

მატებსო?

მან კი: „მე დილას ჩემი ხალხის მეთაური ვიყო, სა-ღამოს კი უჭკუოდ შევიქმნა. ეს ჩემთვის მიუღებელიაო“ უპასუხა (ქუპულ ფურქან 2/560-561)

წმ. ჯაბირის გადმოცემით ერთ-ერთი კაცი ჯეიშა-ნიდან (იემენის რესპუბლიკა) შუამავალთან მისულა და ფეტვის ლუდის შესახებ უკითხავს, თუ რამდენად ცოდვა იყო მისი დალევა?

შუამავალს უკითხავს მომხვდურისათვის, თრობას თუ იწვევსო ეგ დასალევი?

– პასუხად, დიახო უთქვამს.

შუამავალს კი უბრძანებია: „ყველაფერი რაც იწვევს თრობას ჰარამია. ღმერთი მათ „თენბითულ ჰაბელს“ დაა-ლევინებს, ვინც ალკოჰოლს დალევს.“

როდესაც შეეკითხნენ, თუ რა იყო „თენბითულ ჰაბე-ლი“, ასეთი პასუხი გასცა: „ჯოჯოხეთში მყოფების ოფ-ლია ან ჯოჯოხეთში მყოფების წვის შედეგად წამოსული სითხე“.

რაც არ უნდა იყოს მაიდე სურას 90-ე და 91-ე აეთე-

ბის ჩამოსვლის მიზეზი, ეს აეთები და მათი განმარტებები ყველა ვალდებულებას აერთიანებს.

ისლამში დასალევის აკრძალულობა მტკიცდება აგრეთვე სიტყვით „მოერიდეთ“ და ამასთან ერთად მრავალი წმინდა ჰადისით.

ისლამის მეცნიერთა შორის დასალევის აკრძალულობასთან დაკავშირებით არანაირი უთანხმოება არ არსებობს. რადგანაც მაიდეს სურა მედინაში ჩამოსულია ზეციდან ერთ-ერთი უკანასკნელი, ამიტომ ეს აეთები ითვლება დასალევის შესახებ. ჩამოსულ ბოლო აეთებად.

## ღვინით სარგებლობის მნიშვნელობა

აეთში მიცემული სიტყვა „მოერიდეთ“ გამოხატავს, რომ ღვინო არანაირად არ უნდა იქნეს გამოყენებული. სმა, ყიდვა-გაყიდვა, წამლად გამოყენება და სხვ. მიუღებელია. ამასვე ადასტურებს არსებული ჰადისებიც.

ერთხელ აბდურახმან იბნი ვალეეს სებეიმ აბდურახმან იბნი აბბასს ჰკითხა ღვინის შესახებ. იბნი აბბასმა გაიხსენა ერთი ამბავი.

ღმერთის შუამავალს ერთმა კაცმა ღვინო მოუტანა საჩუქრად, მან კი უბრძანა: „იცი რომ ეს ღმერთმა ჰარამად შერაცხა?“

– კაცმა, არაო უპასუხა და იმწამსვე თანმხლებს რაღაც გადაუჩურჩულა.

– შუამავალმა ჰკითხა, რა უჩურჩულე?

– მე მას ვუბრძანე, გაყიდონ ის ღვინო.

– ღმერთმა რომ მისი სმა ჰარამად შერაცხა, მისი გაყიდვაც აკრძალა.

– მაშინ კი, იმ კაცმა მთელი ღვინო დაღვარა. (მუსლიმ მუსუქათ რ. №1579.3/1206)

ეს ხადისი გვიჩვენებს, რომ ღვინის არანაირი გამოყენება არ არის მიღებული. ასე რომ არ ყოფილიყო, ღვთის შუამავალი ამას გვაცნობებდა უფრო დეტალურად. მაგალითად მძორის (მკვდარი ცხოველის) ტყავის გამოყენება ნებადართულია.

ისევ იბნი აბასი გადმოგვცემს, რომ ერთხელ შუამავალს უნახავს მკვდარი ცხვარი, რომელიც ეკუთვნოდა ერთ-ერთ ქალბატონის მსახურს და უბრძანებია: „მისი ტყავი რატომ არ გამოიყენეთ?“ (მუსლიმ ჰაიძ 27 №365)

ღვინით ვაჭრობის შესახებ ღმერთის შუამავალს ასეთი რამ აქვს ნაბრძანები:

„ღვინით ვაჭრობა ჰარამია“ (ბუჰარი ბუიუ 105. №2/13 2/775)

ყველა ისლამის სწავლულიც ადასტურებს, რომ ღვინო ჰარამია და ის ღმერთის მიერ შეჩვენების მიზეზია.

ამ საკითხის შესახებ ბევრი ჰადისი არსებობს და შემდეგ ჰადისიც თავისი მნიშვნელობით საკმარისია.

იბნი ომარის გადმოცემულ ამ ჰადისში, ღმერთის შუამავალი ასე ბრძანებს:

„გამჩენელ ღმერთს ღვინის მსმელები, მსმევლები, გამყიდველები, მყიდველები, დამწურველები, ვინც დააწურვინებს, მზიდველი, ვინც გადააზიდვინებს, ყველა შეუჩვენებია“. (ებუ დაუდ ესრიბე)

## რას შეეხება ღვინის ძმარს:

იმამ შაფიის, აჰმედ იბნი შანბელს და იმამ მალიქსაც უთქვამთ, რომ ის ჰარამია, მაგრამ თუ ღვინო თავისით და-ძმარდა, მისი გამოყენება შეიძლება. იმიტომ, რომ ის უკვე აღარ არის ღვინო, ის ძმარია.

არსებობს ვარაუდი, რომლის თანახმადაც იმამი აზამი, იმამი ევზაი, ლეისი და ფიქრობენ, რომ იმამი მალიქიც ღვინისგან ძმრის დამზადებას მიღებულად მიიჩნევენ.

ყურძნის ღვინოს ქცევის შემდეგ გაყიდვა ჰარამია, გარდა ამისა ყურძნის გამყიდველმა თუ დანამდვილებით არ იცის, რომ მისი ყურძნისგან ღვინოს გააკეთებენ, შეუძლია გაყიდოს, თუნდაც მყიდველებში ღვინის მკეთებელი ერიოს.

მაგრამ იმამ ებუ იუსუფის და იმამ მუჰამედის აზრით ღვინის მკეთებელ ხალხზე ყურძნის მიყიდვა მიუღებელია.

ღმერთმა მოგვცეს ნება იმისა, რომ კეთილი საქმე ვა-კეთოთ და იმქვეყნად პირნათელი წარგვადგინოს. მოგვ-ცეს ძალა ჩამოვშორდეთ ბოროტების სათავეს, ალკო-ჰოლს.

აბდულლაჰ იბნი ამრ-ის გადმოცემით, ერთ-ერთ ჰა-დისში ღმერთის შუამავალი ასე ბრძანებს:

„დასალევი ყველა ბოროტების დედაა“ (.არეკუტნი შუნენ ზრიდე, 4/247.)

ყველა უბედურება და საძაგლობა დასალევით იწყება და ხდება. დასალევი ისეთი სიბინძურეა, რომელიც ყურა-ნშია დადასტურებული. უფრო მეტიც, მის შესახებ ღმე-რთი ბრძანებს:

„ის სატანისეული ერთ-ერთი სიბინძურეა“

## დასალევი და რწმენა (იმანი)

არსებობს ჰადისები, რომელთა მიხედვით უკანონო სქესობრივი კავშირის მიმდევრები, მოპარავები და მმარ-ცველები არ ითვლებიან მორწმუნეებად. ასევე არსებობს ალკოჰოლის მიმდევართა შესახებაც ჰადისები, მაგრამ ამ ცოდვებს ვინც არ აღიარებს და იტყვის ჩემი ნამოქმედარი ალალიაო, რწმენიდან გასულად ჩაითვლება.

იმამი ბუხარის აზრით ასეთები კარგავენ რწმენის სი-ნათლეს. ეს მნიშვნელობა გადმოგვცა იბნი აბბასმა. ზოგი-

ერთების აზრით კი მათი ღვთისმოსაობა ძალას კარგავს. ჭეშმარიტი სწავლულების მიხედვით ყველაზე ზუსტი მნიშვნელობა ისაა, რომ ამ ცოდვების ჩამდენების იმანს (რწმენას) ძალა აღარ ექნება.

„ღმერთმა არასოდეს აპატიოს, რომ სხვა ღმერთები დაუამხანაგონ მას; სხვა ცოდვები აპატიოს". (სურა ნისა. აიათი–48)

ამ აიათიდან გამომდინარე, ღმერთის უარყოფის გარდა, სხვა ცოდვები ადამიანს არ აქცევს ურწმუნოდ, „ქაფირად". ამიტომ „სუნას" სწავლულებმა დაასკვნეს, რომ დიდი ცოდვების ჩამდენები ისევ ჩაითვლებიან მუსულმანებად, მაგრამ მათი რწმენა (იმანი) სრულყოფილი არ იქნება. თუ მოინანიებენ მათ საქციელს, ამით სასჯელი შეუმცირდებათ. თუ ამ დიდ ცოდვების ჩადენას გააგრძელებენ და ისე მოკვდებიან მათი ხვედრი მაღალ ღმერთზეა დარჩენილი. თუ ისურვებს, შეუნდობს და სამოთხეში მიუჩენს ადგილს, ან დასჯის. ეს მისი ნებაა.

პირველ აქაბეს ღამეს, როდესაც თორმეტმა მორწმუ–

ნემ ფიცი დადო. იმათგან ერთ-ერთი, უბადე იბნი ხამითი, რომელიც ბედრის ომშიც მონაწილეობდა, ასე გადმოგვცემს:

ერთხელ ღმერთის შუამავლის გარშემო მისი მეგობრები ისხდნენ, რომლებსაც პირობა ჰქონდათ დადებული, რომ არ მოიპარავდნენ, არ შევიდოდნენ უკანონო სქესობრივ კავშირში და არ იქნებოდნენ მოღალატეები. ღმერთის შუამავალმა ასე ბრძანა:

„ვინც ამ სიტყვას შეასრულებს, მასზე მადლის მიცემა ღმერთს ეხება, ხოლო ვინც ამათგან ერთ რომელიმეს ჩაიდენს, ღმერთი მას ამქვეყნადვე დასჯის, ეს მისი სასჯელია. ამათგან ერთიც რომ ჩაიდინოს და ღმერთმა ამქვეყნად არ დასაჯოს, მაინც მის ხელთაა ან აპატიებს ან წამებას მიუსჯის“. (ბუჰარი, იმანი)

ამ ჰადისის გამო გახდა ზემოთ მოყვანილი ჰადისების განმარტების აუცილებლობა. ისედაც ორი ერთმანეთის გარეგნულად საწინააღმდეგო აზრის საერთო უნდა მოიძებნოს.

# დასალევი და დიდი ცოდვები

იბნი აბბასის გადმოცემით ღმერთის შუამავალს ერთ-ერთ ჰადისში ასე უბრძანებია:

„ვინც გონებას დაკარგავს და დასალევს დალევს, უეჭველად დიდი ცოდვებიდან ერთ-ერთს ჩაიდენს“. (ბეიაქ, სუნბულ იმნი №5599.5/113)

ჯაბირის გადმოცემით კი შუამავალს ასე უბრძანებია:

„ვისაც ღმერთი და განკითხვის დღე სწამს, ღვინიან სუფრასთან არ დაჯდეს“. (თირმიზი ედეფ №2801.5/113)

როგორც ჰადისიდან ვგებულობთ, ისეთ მაგიდაზე, სადაც ღვინო ისმება, არ უნდა დავჯდეთ. ხოლო ღმერთის გზაზე მოწოდების მიზნით შეგიძლიათ მიხვიდეთ, თქვენი გააკეთოთ და მალევე გამორდეთ.

დასალევის ცოდვა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, დიდ ცოდვებში შედის.

დასალევისა და მსგავსი დიდი ცოდვების შესახებ შემაძრწუნებელი მნიშვნელობის შემცველი ჰადისები არსებობს. მათ თავიანთი ცოდვების გამო ერთიმეორის მიყოლებით, უბედურებები შეემთხვევათ. თუმცა შესაძლე-

ბელია ზოგიერთებს, არ მოუწიოთ ამქვეყნიური დასჯა. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ვინც ამქვეყნად არ დაისაჯა, ის იმქვეყნადაც გადარჩება, ეს შეცდომაა.

წმ. მუაზის და აბუ უბეიდეს გადმოცემული ეს ჰადისი ამას წარმოგვიდგენს:

„უეჭველია, რომ ეს საქმე წყალობითა და შუამავლობით დაიწყო. მერე გაგრძელდება წყალობითა და სახალიფოთი. მერე კი სასტიკი მმართველობა ჩამოყალიბდა. ბოლოს კი მძვინვარება, ბრძოლები და აშლილობა წარმოიქმნება (იმ დროს ადამიანები) აბრეშუმს (მამაკაცების მიერ ჩაცმა) ღვინოსა (სმა) და მრუშობას ალალად მიიჩნევენ. ამის მიუხედავად ისევ ღმერთთან წარდგენამდე მისგან სარჩოს და დახმარებას მიიღებენ (იქ კი საშინელ წამებას მიიღებენ). (ბეიჰაქი სუაბულ იმანი. №5616. 5/16).

# დასალევის შესახებ სხვადასხვა ჰადისები

აბუ ჰურეირას გადმოცემით, ერთ-ერთ ჰადისში ღმერთის შუამავალი ასე ბრძანებს:

,,სამოთხის სუნი ხუთასწლიანი გზის სიშორიდანაც იგრძნობა, მაგრამ სიკეთის დამყვედრებელი, დასალევის მსმელი და მამის ურჩი შვილი მის სუნს ვერ  იგრძნობს“.

(თაბერან ელ მუჯემუს საღირ 409, გვ. 17)

ენეს ბინ მალიქის გადმოცემით კი ღმერთის შუამავალს ასე უბრძანებია:

,,უეჭველია, რომ ღმერთს სამოთხე გაუჩენია და ის უარმყოფელთათვის და მსმელებისათვის აუკრძალავს“. (ბეიჰაქი შუაბულ იმან. 5590 , 5/11)

ებუ ჰურეირას ნავარაუდევი კიდევ ერთი ჰადისი, ასეთია:

,,ამქვეყნად ვინც აბრეშუმს ჩაიცვამს (მამაკაცები), მას საიქიოში ვეღარ  ჩაიცვამს, აქ ვინც დასალევს დალევს,  საიქიოში ვერ დალევს. ამქვეყნად ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლით ვინც (ჭამს) სვამს, ის იმქვეყნად

ვერ სვამს მათით. იმიტომ, რომ ესენი სამოთხის ჩასაც-მელი, სასმელი და ჭურჭელია“.

(ჰაკიმ უსტერდრეკ. №7216. 4/157)

ენესის გადმოცემით შუამავალი ასე ბრძანებდა:

„ვინც ამქვეყნიდან მთვრალი წავა, საფლავშიც მთვრალი ჩავა, საფლავიდანაც მთვრალი გაცოცხლდება და მთვრალად წოდებულ მთაზე განმწესდება. იმ მთაზე კი ერთი ხვრელია, რომლიდანაც სისხლი და ჩირქი გამოდის. ისაა მათი სასმელიც და საჭმელიც სამუდამოდ“.

(იბნი ჰაჯარ,ალ ასკალანი, ალ მეთალიბულ ალიიე №1783. 2/106)

## სიმთვრალის გამო ლოცვის (ნამაზის) შეუსრულებლობის შედეგი

აბდულაჰ იბნი ამრის მიერ ნავარაუდევ ერთ-ერთ ჰა-დისში ღმერთის შუამავალი ბრძანებს:

„სიმთვრალის გამო ვინც მარტო ერთხელ არ შეას-რულებს ნამაზს, ეს მისთვის მთელი სამყაროს დაკარგვის ტოლფასია. ხოლო სიმთვრალის გამო ვინც ოთხჯერ არ შეასრულებს ნამაზს, მას ღმერთი „თიინეთულ ჰაბალს“

(ზემოთ ნახსენებ სითხეს) დაალევინებს“.

როდესაც შეეკითხნენ, რა არისო „თიინეთულ ჰაბალი“? – ჯოჯოხეთში მყოფი ცოდვილების წვის შედეგად სხეულებიდან გამონადენი სითხეაო, უპასუხია.

(აჰმედ იბნი ჰანბელ მუშრედ თ 6671.2/593)

დასალევის მსმელი, თავისთავის გარდა უპირველესად ახლობლებს, შემდეგ კი გარშემომყოფებსაც აძლევს ზიანს. ამის შესახებ, ნაბრძანებია იბნი აბბასის გადმოცემულ ჰადისში:

„ვინც ქალიშვილს ან რომელიმე ოჯახის წევრს ალკოჰოლის მსმელზე დააქორწინებს, თითქოს ის ჯოჯოხეთისათვის გაუწირავს“. (იმამი ზაბიდი, ითჰაფ თ 5/350)

ქათადე იბნი აიაშის გადმოცემული ჰადისი კი ასეთია:

„ვინც დასალევს არ სვამს, სარწმუნოების საკითხებში კარგი ასპარეზი ექნება ყოველთვის. მსმელს კი ღმერთი ფარდას ჩამოუხევს, შემდეგ კი საცჭანა იქნება მისი მეგობარიც, ყურიც, თვალიც და ფეხიც. ის გასწევს ყველა უბედურებისაკენ და ყველა სიკეთეს ჩამოაშორებს“.

(ალი ელ მუთთაქი, ქენეულ უმმალ თ13/65. 5/346)

# ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენება

უმმუ სულემეს გადმოცემულ ჰადისში ასეა ნაბრძანები:

„ღმერთის შუამავალს მათრობელი და ორგანოების მოდუნებელი (გამაბრუებელი) ყველაფერი აუკრძალავს“. (ებუ დავუდ №1686.2/354)

აქედან გამომდინარე მარიხუანა, გეროინი, ოპიუმი და მსგავსი ნივთიერებები ჰარამადაა შერაცხული.

თუმცა ესეც უნდა აღვნიშნოთ, რომ ნარკოტიკული ნივთიერებების სამკურნალო დანიშნულებით გამოყენება ნებადართულია, ოღონდ მცირე რაოდენობით. დღეისათვის გამაყუჩებელ სამკურნალო პრეპარატებში არსებული ნარკოტიკი ჰარამად არ ითვლება, რადგანაც ის, არც გონებასართმევს ადამიანს და არც მისი მიღების მიზანი, თრობა ან სიამოვნება არ არის.

ის მცენარეები, რომლებიც ნარკოტიკს შეიცავენ, თავად არ ითვლებიან სიბინძურედ. სულ სხვაა თხევადი დასალევი. ის თვით სითხეც ჰარამია. ყველა ჰარამი არ ნიშნავს, რომ ის ბინძურია. მაგ. საწამლავი ჰარამია, მაგრამ

მისი სხვა მიზნით გამოყენება, ან მისი ტარება ნამაზს ხელს არ უშლის. (რუჰულ ფურქან 8/20)

## აზარტული თამაშების სიავენი

ისლამის სარწმუნოება ყუმარის ყველა სახეობას უკრძალავს მუსლიმანებს (ჰარამია). ნებისმიერი ადამიანის შემოსავლის უსამართლოდ და თამაშით წართმევა ჰარამია.

სათამაშოდ, რაც არ უნდა იქნას გამოყენებული და რა ფორმითაც არ უნდა სრულდებოდეს თამაში, ყველა ყუმარია.

რადგანაც აზარტულ თამაშებში უშრომელი შემოსავლის სურვილია ჩადებული, მას ყურანში „მეისირი“ (ყუმარი) ეწოდება.

არაბები ისლამამდელ პერიოდში ნარდითა და ჭადრაკითაც ყუმარს თამაშობდნენ.

მაიდეს სურაში დასალევი და აზარტული თამაშები გამოცხადდა, როგორც დიდი ცოდვები და მორწმუნეებს დაევალათ მათგან მორიდება. მაიდეს სურაში კი ნაბრძანებია: „მორწმუნენო! ღვინო, მორინი, ბუთები და ისრით

მკითხაობა სატანას მოგონილი სისაძაგლეა; ერიდეთ მათ და ნეტარ იქმნეთ“

რა თქმა უნდა ისეთი მორწმუნე, რომელიც პატარა ცოდვასაც კი ერიდება, ამის გაგებისთანავე თავს დაანებებს. მითუმეტეს როცა ღმერთის სიტყვა ამბობს სატანისეული საქმეებია და დიდი ცოდვააო.

ყუმარზე თავის არიდებით ამქვეყნიური და იმქვეყნიური თავისუფლება მოიპოვება.

აზარტული თამაშების მიმდევარი, ან საკუთარ ცოლშვილს ტოვებს მშიერს და მათ წილ სარჩოს სხვა გაატანს, ან კიდევ სხვისი შვილების კუთვნილ ლუკმას წაიღებს და მშიერს დატოვებს.

ყუმარზე გადაყოლილი ადამიანის ოჯახის წევრები უიმედო მდგომერეობაში არიან. შვილები ობლებს, მეუღლე კი ქვრივს ემსგავსება.

შუაღამემდე ქმრის მომლოდინე ქალი სულ იმის შიშშია ვინმემ არ მოკლას, ან რამე უბედურება არ შეემთხვესო.

კარზე კაკუნს რომ გაიგონებს, ფიქრობს; რამე ცუდი ამბავია, თუ ქმარი დაბრუნდაო. მთელი მისი ცხოვრება ში-

შითა და კოშმარითაა სავსე.

ბავშვებიც ნახევრად ჩაცმული და მშიერი არიან მიტოვებული. უიმედობა და საეჭვო მომავალია მათი ხვედრი. ასეთ ცხოვრებას სიცოცხლე კი არა ნელ-ნელა სიკვდილი ჰქვია.

აზარტული თამაშების მიმდევარი ადამიანი, მარტო ოჯახზე კი არა საკუთარ ჯანმრთელობაზეც აღარ ფიქრობს.

ხშირად შიმშილობს, ნერვიულობს და ღმერთის მიბარებულ სულს აწამებს. ბოლოს ან საავადმყოფოში მოხვდება ან კიდევ მკვლელობის მსხვერპლი გახდება. ისე წავა კარგად გამხსენებელიც კი არ ეყოლება.

სატანა რაღაც საშუალებას აუცილებლად მოიგონებს ადამიანის მახეში გასაბმელად, ყუმარიც ერთ-ერთი საშუალებაა ამის. ერთერთი მახეა.

შემდეგ აიათში ასეა ნაბრძანები:

„სატანას ჰსწადია, სიძულვილი და მტრობა თქვენს შორის ღვინითა და მღერით ჩამოაგდოს“ (მაიდე სურა: აიათი 91)

სატანა ადამიანის გულში ყუმარის საშუალებით

მტრობას თესავს, მერე ბრაზით რწყავს და მკვლელობით ნაყოფს იმკის. ხშირია შემთხვევა ორი ადამიანიდან ერთი საფლავში წავა, მეორე – ციხეში. აი, შედეგი.

ყუმარში ყოველ წუთს მოსალოდნელია შარი და უბედურება. გაბრაზებულზე კი, ხშირად სავალალო შედეგამდე მიდის საქმე.

გასართობად ან თავის შესაქცევად ნარდის ან მსგავსი რამეების თამაში რამდენად ცოდვაა შემდეგ ჰადისში ჩანს:

„ვინც ნარდს თამაშობს თითქოს ხელი ღორის ხორცში და სისხლში ჩაუყვია.“ (მუსლიმ).

„ვინც ნარდს თამაშობს უეჭველია ის ღმერთსა და შუამავალს ეწინააღმდეგება. (ბუდავუდ).

ასეთი ბინძური საქმის მიმდევრის სმენა, რათქმაუნდა დახშული იქნება ჭეშმარიტებისაგან. ის ველარ გაიგონებს ეზანსაც და სატანა მას, თანდათან ღმერთის ხსენებისა და ლოცვისაგან ჩამოაშორებს.

ზოგიერთები აცხადებენ რომ ჭადრაკი ცოდვა არ არისო, მაგრამ როგორც მოგების, გამორჩენის საშუალება ჭადრაკიც ყუმარათ ითვლება.

წმინდა ალისაც მოუთითებია რომ ჭადრაკი ყუმარია. იმამ აზამს, იმამ მალიქს და აჰმედ ბინ ჰანბელსაც ერთსულოვნად მოუჩნევიათ ჭადრაკი ჰარამად.

ღმერთის შუამავლს ერთგვარი ფრინველების შეჯიბრებაც კი ყუმარად ჩაუთვლია. ეს თამაში ასეთია. ორი მეფრინველე აჯიბრებს მტრედებს ფრენაში და მოგებული მეფრინველეართმევს წაგებულს გაფრენილ ჩიტს. მის უკან მორბენალ მეფრინველეს. რომ შეხედა ღმერთის შუამავალმა თურმე ასე ბრძანა: „ერთი სატანა მეორე სატანას მისდევს.“

ყუმარში სათამაშო თანხის რაოდენობას არ აქვს მნიშვნელობა.

ნებისმიერი თამაში რაც დამოკიდებულია გამართლებაზე და მიზნად ისახავს რაიმეს მოგებას ჰარამია.

ერთხელ ორი კაცი დანიძლავებულა: ერთს უთქვამს, თუ ამდენ კვერცხს შეჭამ, ეს ფული შენი იყოსო, მაგრამ იმის გასარკვევად თუ რამდენად სწორად იქცეოდნენ წმ. ალისთან მისულან და უკითხავთ.

წმ. ალის უფლება არ მოუცია, ეს ხომ ყუმარიაო.

არსებობს ასეთი თამაშიც: ქათმის მკერდის ძვალს ორი მონიძლავე აქეთ-იქეთ ეწევა და შუაზე ხლეჩს. ეს თამაშიც ყუმარია და მოგებულის წაგებულზე წართმეული ფულიც ჰარამია.

თამაში, თუნდაც რომ არ იყოს ფულზე, ან რაიმე ძვირფასეულობაზე მაინც ცოდვაა, რადგანაც აქ უკვე სიცოცხლეს ვხარჯავთ უმიზნოთ. ღმერთის მიერ ბოძებული სიცოცხლის ტყუილად გატარება რათქმაუნდა საზიანოა. (მეშრე ჰუთბე. გვერდი 164)

„რაც ღმერთის ხსენებას და ნამაზს ჩამოგაშორებს ყუმარია.“ (თეფსირი იბნი ქესირი ტომი. გვ. 91)

## ყუმარის ჰარამად ცნობის მიზეზი

ყუმარის ჰარამად ცნობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ თანდათანობით მოხდა. ამის შესახებ წიგნის დასაწყისშივე შემოგთავაზეთ აიათები.

ამ ნაწილში ყუმარის ნაირსახეობებზე, მის ზიანზე და აკრძალვის დამამტკიცებელ ჰადისებზე ვისაუბრებთ.

უდავოა, რომ დასალევი და აზარტული თამაშები გარდა

იმისა, რომ მიზეზი ხდება სიძულვილის, მტრობისა და უბედურების, აგრეთვე ადამიანს ჩამოაშორებს ღმერთის ხსენებასა და ნამაზს. ეს ჭეშმარიტება ღმერთმა ადამიანებს ასე აცნობა:

„მორწმუნენო! ღვინო, მორინი, ბუთები და ისრით მკითხაობა სატანას მოგონილი სისაძაგლეა, ერიდეთ მათ და ნეტარ იქმნეთ. სატანას სწადია სიძულვილი და მტრობა თქვენ შორის ღვინითა და მღერით ჩამოაგდოს და ღვთისა და ლოცვის მოგონებას დაგაშოროსთ. მაშ არ ეკრძალებით? ღმერთს დაემორჩილეთ, წინასწარმეტყველს დაემორჩილეთ და თავსაც გაუფრთხილდით, ვინაიდგან თუ გადაუხვიეთ, იცოდეთ მოციქული მხოლოდ ქადაგებას არის დავალებული.“ (მაიდე სურა. აიათი 90–91)

ე.ი. ეს აიათები აშკარად მიგვითითებს დასალევისა და ყუმარის მატერიალურ და სულიერ ზიანზე.

ყუმარის ჰარამად ცნობის მიზეზებიდან ერთ-ერთი, არაწესიერი გზით ფულის შოვნის მცდელობაა.

ღმერთი ბრძანებს:

„თქვენი ქონება ცრუ გზებით არ მოიპოვოთ“

ე.ი. არაკანონიერი გზით, ერთი მეორეზე ქონების წა-რთმევა აკრძალულია და ყუმარიც ერთ-ერთი მთავარია ამათგან.

რადგან დიდი ცოდვაა ყუმარი, ამის გასაგებად შემ-დეგი ჰადისი და კვირებით უნდა წავიკითხოთ.

„ვინც ამხანაგს ეტყვის: მოდი, ყუმარი ვითამაშოთო, მოწყალება უნდა გაიღოს.“

ყუმარის ხსენება თუ ამხელა ცოდვაა, წარმოვიდგი-ნოთ რამდენ დიდი ცოდვა იქნება მისი თამაში. ეს აშკარაა.

დღეისთვის კაზინოებში არსებული, სხვადასხვა სახის სათამაშო საშუალებები ყველა ყუმარია და ეს ჰადისები მათაც ეხება.

აიათში ნახსენები სიტყვა „მეისირ“ ყუმარის თამაშს ნიშნავს. ეს სიტყვა მიმდინარეობს სხვა არაბული სიტყ-ვისგან, რომელიც ქართულად, ''ადვილად“ ნიშნავს, რა-დგანაც ყუმარში ადამიანები ერთიმეორეს ადვილად ართ-მევენ ფულს. ალბათ ამიტომ ეწოდა ასე.

დღეისათვის არსებულ უამრავი სახის თამაშებში, ფინკი, ლოტო და ა.შ. აუცილებლად არიან მოგებულები

და წაგებულები. მოგებულების ან წაგებულების რაოდენობა ან კიდევ მოგებულის და წაგებულის რაოდენობა, თუნდაც მოგებული ფულიდან მოწყალების გაღება არაფერს ცვლის. ყუმარი ყუმარია და ცოდვაა, რაც არ უნდა ერქვას მას.

მართლმორწმუნეს მართებს გამჩენის ყველა ბრძანების წინაშე ქედის მოხრა.

მოდით ერთხელ კიდევ გავიხსენოთ მაიდე სურას 90-ე და 91-ე აიათები. აქ ღმერთი ყუმარს დასალევის შემდეგ მეორე რიგში ახსენებს.

“მორწმუნენო! ღვინო, მორინი, ბუთები და ისრით მკითხაობა სატანას მოგონილი სისაძაგლეა, ერიდეთ მათ და ნეტარ იქმნეთ. სატანას სწადია სიძულვილი და მტრობა თქვენ შორის ღვინითა და მღერით ჩამოაგდოს და ღვთისა და ლოცვის მოგონებას დაგაშოროსთ. მაშ არ ეკრძალებით? ღმერთს დაემორჩილეთ, წინასწარმეტყველს დაემორჩილეთ და თავსაც გაუფრთხილდით, ვინაიდგან თუ გადაუხვიეთ, იცოდეთ მოციქული მხოლოდ ქადაგებას არი დავალებული.“ (მაიდე სურა. აიათი 90-91)

„სატანას მოგონილი სისაძაგლეა“. „ერიდეთ მათ“ ამ ბრძანებით მითითებულია, რომ ისინი ჰარამია.
არავითარი ეჭვი არ არსებობს იმაში, რომ ყუმარი ჰარამია.

## ნარდისა და ჭადრაკის უარყოფითი მხარეები და მნიშვნელობა

სულეიმან იბნი ბურეიდე მამამისის გადმოცემულ ერთ–ერთ ჰადისს იხსენებს:

„ნარდის მოთამაშეს თითქოს ხელი ღორის ხორცში და სისხლში ჩაუყვია“ (მუსლიმ–შიირ).

ებუ მუსა ელ–აშარის გადმოცემულ ჰადისში ღმერთის შუამავალი ასე ბრძანებს:

„ვინც ზარს ითამაშებს, უეჭველად ღმერთის და მის შუამავალს ეწინააღმდეგება“ (ებუ დავუდ)

მუს იბნი აბდურეჰმანის გადმოცემით ერთ–ერთ ჰადისში ასეა ნაბრძანები:

„ნარდის თამაშის შემდეგ ნამაზის ლოცვა ჰგავს ჩირქითა და ღორის სისხლით აბდესის აღებას და ნამაზის ლოცვას“.

იაჰია იბნი ები ქესირის გადმოცემით შუამავალი ერთ-ხელ ნარდის თამაშით გართულ ხალხს შეხვედრია და ასეთი შეფასება მიუცია:

„გართული გულები, (ტყუილად) მომუშავე ხელები, ტყუილად მოლაპარაკე ენები“.

აბუ ჰურეირა კი ერთ-ერთ ჰადისს ასე გადმოგვცემს:

„თუ კი შეხვდებით მკითხაობით, ჭადრაკით, ნარდითა და სხვა გასართობი საშუალებებით მოთამაშეებს არ მიე-სალმოთ. თუ მოგესალმებიან სალამზე არ უპასუხოთ, რადგანაც თამაშის დროს შეკრებილებთან სატანა მიდის თავისი ჯარებით. თამაშის დამთავრებისას კი ისე დაიშლე-ბიან, როგორც ლეშზე მისული და ლეშით გამძღარი ძაღლები“. დეილემ-ელ ფირდევს)

ვასილე იბნილესკა-ს გადმოცემულ ერთ-ერთ ჰადისში ღმერთის შუამავალი ასე ბრძანებს:

„გამჩენ ღმერთს ერთი დაფა აქვს, რომელზეც დღეში სამასჯერ გამოავლენს იმ ადამიანებს, ვინც ღვთის წყა-

ლობა დაიმსახურა. ჭადრაკის მოთამაშეები კი ამ წყალობას ვერ ეღირსებიან“. (ალი ელ მუთთექი 15-218)

ერთხელ, როცა წმინდა ალი ჭადრაკის თამაშით გართულ ერთ-ერთ ჯგუფს შეხვდა და ასე მიმართა: „რა არის ეს ფიგურები, რომლითაც თამაშობთ? ამათ ხელში დაჭერას ცეცხლის ნაკვერჩხალი, რომ გეჭიროთ უკეთესია თქვენთვის. ვფიცავ ღმერთს თქვენ ამ სათამაშოებისათვის არ ხართ გაჩენილი. ვფიცავ ღმერთს ამის წესად დანერგვის, რომ არ მეშინოდეს სახეში მოგახლიდით“. (ბეიჰაკი სუნენ)

იბნი შიჰაბს როცა ჰკითხეს ჭადრაკის შესახებ, მან უპასუხა: ის ფუჭი რამეა და ღმერთს ფუჭი რამეები არ უყვარს. (ბეიჰაკი სუნენ)

ისჰა იბნი რაჰიესთვის უკითხავთ ჭადრაკში თუ არისო წაგება (ნაგულისხმევია ზარალი) მან კი უპასუხა: „ყველა წაგება (ზარალი) მასშიაო“.

კი, მაგრამ ჯარისკაცები, ხომ მას ომის ტაქტიკის შესასწავლად თამაშობენო, უთქვამთ.

„ის ბიწიერებააო“ უპასუხია ისჰაკ იბნი რაჰიეს.

იბნი ომარის აზრით, ის ყუმარზე უარესია. იმამი

მალიქის კი, როცა ჰკითხეს ქადრაკის შესახებ ,,ის ნარდზე უფრო ცუდიაო“ უბრძანებია.

ამის მიზეზებია:

1. ქადრაკს ნარდზე უფრო მეტი გულისყური და ფიქრი სჭირდება. ამით ძვირფასი დრო იხარჯება ფუჭად.

2. ქადრაკის მოთამაშეებს შორის დაინტერესება უფრო მეტია და შესაბამისად აგრესიულობაც. რადგან ამ თამაშით გატაცება უფრო ძლიერია, ამიტომ უფრო ცუდადაა მიჩნეული.

მთელი ამ ჰადისებიდან და გადმოცემებიდან გამომდინარე ოთხივე იმამს, ნარდი ყუმარი არის, თუ არა, მაინც ერთხმად მიუჩნევიათ ჰარამად.

ქადრაკი მიუხედავად იმისა, რომ არ ითვლება ყუმარად, მაინც სამი მიმდინარეობის თვალსაზრისით ჰარამად ითვლება. იმამი შაფი კი მას მექრუჰად განიხილავს. ხოლო თუ მისი მიზეზით რომელიმე ფარზის შეუსრულებლობა ხდება მაშინ ჰარამია. იმამ ნევევისაც ასე მიუთითებია.

იმამულ ჰარამეინის მიხედვითაც ეს თამაშები დიდ ცოდვად ითვლება.

ერთ-ერთი გადმოცემით იბნი აბბასი ერთ-ერთი ობლის მამისგან დარჩენილი, ქონების შემოწმებისას, ჭადრაკი უპოვია და დაუწვავს. მისი თამაში, რომ ალალი ყოფილიყო ობლის ქონებას არაფრით დაწვავდა იბნი აბბასი. ობლისათვის დანატოვარში თუ ღვინოც ურევია მისი გადაღვრაა საჭირო. (იბნი ჰაჯჯერ ელ ჰაითემი)

ღმერთმა მოგვცეს ძალა, რათა ვიცხოვროთ ჭეშმარიტად მართლმორწმუნედ და მისი კმაყოფილების მოსაპოვებლად. ნათქვამია კოკა წყალზე გატყდებათ. შემდეგი ჰადისიც ამას გამოხატავს.

„ყოველი ადამიანი, როგორც ცხოვრობს, ისე მოკვდება და ყველა, როგორიც მოკვდება, ისე გაცოცხლდება“. (მუსლიმ)

ისლამამდელ პერიოდში, ე.ი. უმეცრების ხანაში არაბები ნარდით, ჭადრაკით და მსგავსი რამეებით თამაშის საშუალებით ერთმეორეს ქონებასართმევდნენ.

მაშინ არაბეთში ისეთი თამაშიც არსებობდა, რომელიც ქველმოქმედებად მიაჩნდათ და მისით ამაყობდნენ.

დაკლავდნენ აქლემს და ოცდარვა ნაწილად გაანაწი-

ლებდნენ. შემდეგ ისრებს დაამზადებდნენ, რომელსაც „ეზლამი-ექლამი“ ერქვა. ამ ისრებს ერთ ჭომარაში მოათავსებდნენ და ერთ-ერთ სამართლიან ადამიანს ჩააბარებდნენ. შემდეგ ის თითო-თითოდ იღებდა ჭომრიდან ისრებს. ვისაც იღბლიანი ისარი შეხვდებოდა ის თავის წილს აიღებდა, ვისაც უიღბლო შეხვდებოდა, ის წააგებდა და უწილოდ დარჩებოდა, თუმცა აქლემის საფასურში თავისი წილი უნდა გადაეხადა. ვინც მოიგებდა თავიანთ წილს ღარიბებს უნაწილებდნენ. ამის გამო თამაშის ეს ერთ-ერთი სახე ქველმოქმედებად და კეთილ საქმედ ითვლებოდა: ეს ისე ფართოდ გავრცელდა, რომ ვინც მონაწილეობას არ მიიღებდა, მას ძუნწის სახელი გაუვარდებოდა.

სწავლულებს მიაჩნიათ, რომ ბავშვების კაკლის, კვერცხის და სხვა თამაშიც, ყუმარად ითვლება.

მართალია, ბავშვები არასრულწლოვანები არიან, მაგრამ ეს მათ არ აძლევს უფლებას სხვისი კუთვნილი მიითვისონ ასეთი გზით. ე.ი. ბავშვების ყუმარით მიღებული ყველაფერიც ჰარამია.

თამაში, რომელშიც ქველმოქმედებას ემსახურება თუ ჰარამია, მაშინ დანარჩენი  თამაშები რა იქნება, დასკვნა თქვენ თვითონ გამოიტანეთ.

როგორც „ჰაზინის თევსირშია“ ნახსენები ყუმარს გააჩნია ისეთი დიდებითი მხარეები, როგორიცაა ადვილად ფულის შოვნა. იყო შემთხვევა, როდესაც ერთ კაცს ერთ დაჯდომაზე ასი აქლემი მოუგია და გამდიდრებულა. ან ზოგჯერ მთლიანად მოგებულს ღარიბებს აძლევდნენ. ეს მცირეოდენი და ცალსახა სარგებელი ყურანშიცაა ნახსე-ნები, მაგრამ, რადგანაც ზიანი გაცილებით მეტი მოაქვს, მთლიანად ჰარამადაა გამოცხადებული. ვინაიდან არ შეიძ-ლება დიდი ზიანის ფასად პატარა სარგებლით ვისარგებ-ლოთ. ყუმარის ზიანი, მართლაც რომ ძნელი ჩამოსათ-ვლელია.

მოთამაშე, თამაშის დროს სხვა სასარგებლო საქმეს ჩამოშორებულია. ის განწირულია სიხარბისათვის. ადვილი შესაძლებელია ოფლით ნაშოვნი ქონებაც დაკარგოს. ოჯახში და მეგობრებს შორის უნდობლობით სარგებლობს. ადამიანები ერთიმეორეს ფულს აღარ ასესხებენ და აღარ

დაეხმარებიან. თამაშის დროს ერთხანს ურთიერთშორის მოჩვენებითი პატივისცემა იქნება, მაგრამ ერთიმეორის სიძულვილი ხომ აშკარაა, ის თანდათან გაიზრდება და ამოხეთქავს. დაიწყება კამათი და ჩხუბი. ზოგჯერ მკვლელობითაც მთავრდება. უფრო მეტიც, არსებობს შემთხვევები, როცა ყუმარის გამო ადამიანს თავიც მოუკლავს. ამის უამრავი მაგალითი არსებობს. (ლუჰულ ,ურკან 2/262.)

იმამი მუჯაჰიდი მაიდე სურას მესამე აეთში ნახსენებ „ეზლამ“-ს განმარტავს, როგორც სპარსი და რომაელების სათამაშო ნარდის ზარები. არაბებს სამი სახის ეზლამი ჰქონდათ:

პირველი  სამი ზარი, რომელიც ყველას შეეძლო დაემზადებინა.

მეორე შვიდი ზარი რომლებიც ქააბაში ერთ-ერთი კერპის გვერდით ეწყო. კერპის სახელი იყო ჰუბელ.

ერთ ზარს ეწერა „დიეთ“, რომელიც დაახლოებით საფასურს ნიშნავს. ეს ზარი, ვისაც მოუწევდა, სწორედ მას უნდა გადაეხადა რაიმეს საფასური.

მეორე ზარს „დიახ“ ეწერა, მესამეს „არა“, რაიმე გადასაწყვეტ საქმეზე ამ ორ ზარით სარგებლობდენ.

იყო სამი ზარიც, რომელთა მეშვეობით ადგენდნენ რომელიმე პიროვნება მათიანი იყო თუ არა.

ერთ-ერთ ზარს ეწერა „წყალი“. მოგეხსენებათ არაბეთში წყლის პრობლემაა და როდესაც წყლის თაობაზე ატყდებოდა ჩხუბი, ამ ზარით გადაწყვეტდნენ, ვისაც შეხვდებოდა წყალი მისი იყო.

ეს ზარები, როგორც მოგახსენებთ ერთ-ერთი კერპის ჰუბელის წინ იყო. აგრეთვე ჰქონდათ მოსამართლეებსაც.

მესამე სახის ზარები ბაქარა სურას 219-ე აეთში განმარტებული ყუმარის და ფიანკოს ზარები იყო.

გამჩენელ ღმერთს, რაც უბრძანებია, ყველაფერში სიკეთეა, ხოლო რაც აუკრძალავს სიავე, უბედურება, შარი, ბოროტება, ზარალი და რაც მთავარია ღმერთის უკმაყოფილებაა.

ყუმარი კი, ისეთია შეიძლება უცბად გამდიდრდე, მაგრამ დაკარგო ღმერთის ნდობა. მთელი ქვეყნის სიმდიდრეც, რომ გქონდეს რაში გამოგადგება თუ არა გაქვს

ქვეყნიერების გამჩენის ღმერთის კმაყოფილება.

ღმერთმა მოგვცეს გზა ხსნისა და შეგვაძლებინოს კმაყოფილების მოპოვება. გამჩენელი ღმერთი გვიკრძალავს ისეთ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მომსპობ რამეებს, როგორებიცაა დასალევი და ყუმარი. ზემოთაც ვთქვით, რომ მათ შეუძლიათ კიდევ სულიერი და მატერიალური ზიანის მიყენებაც. ღმერთი მოგვიწოდებს მასზე და მის შუამავალზე მორჩილებისაკენ.

„მორწმუნენო! ღვინო, მორიხი, ბუთები და ისრით მკითხაობა სატანის მოგონილი სისაძაგლეა, ერიდეთ მათ და ნეტარ იქმნეთ. სატანას სწადია სიძულვილი და მტრობა თქვენ შორის ღვინითა და მღერით ჩამოაგდოს და ღვთისა და ლოცვის მოგონებას დაგაშოროსთ. მაშ არ ეკრძალებით? ღმერთს დაემორჩილეთ, წინასწარმეტყველს დაემორჩილეთ და თავსაც გაუფრთხილდით, ვინაიდგან თუ გადაუხვიეთ, იცოდეთ მოციქული მხოლოდ ქადაგებას არი დავალებული.“ (მაიდე სურას: აიათი 90-91).

მანაც ეს მოვალეობა პირნათლად შეასრულა. თქვენ აღარ გიშველით მიზეზები ან თავის მართლება. მხოლოდ

წამებაა დარჩენილი.

როგორც ყურანის განმარტებაშია მოცემული, ღმე-რთისადმი და შუამავლისადმი მორჩილება, ნიშნავს ყველა ბრძანებისა, თუ აკრძალულების მთლიანად გათვალის-წინებას. განსაკუთრებით კი ყურანში ალკოჰოლიანი სასმელები და აზარტული თამაშებია აკრძალული.

მოკლედ ამ აიათის საერთო მნიშვნელობა შემდეგია:

„სატანას არ აყვეთ, მხოლოდ ყოვლისშემძლე ღმერ-თისა და ბედნიერებისაკენ გზის მაჩვენებელ მის შუამავალს დაემორჩილეთ. ყველა მათი ბრძანებები შეასრულეთ და დასალევისა და ყუმარის მსგავსი აკრძალულები არ გააკე-თოთ, ახლოსაც არ გაეკაროთ“.

აიათი გრძელდება პირობით, რომ თუ ამ ყველაფერს უგულებელყოფთ, მაშინ ღვთიური სასჯელი არ აგც-დებათ.

რადგანაც ღმერთის შუამავალმა თავისი ვალი პირნათ-ლად მოიხადა, გვაჩვენა გზა ჭეშმარიტებისა, ჩვენ კი არ შევასრულებთ, მაშინ ჩვენი დანაშაული დამტკიცებულია და ღმერთი არანაირ გასამართლებელ საბუთს აღარ

მიიღებს.

ყველა იმ ჯილდოს ვინც დაკარგავს, რასაც ღმერთი მართლმორწმუნეებს პირდება და მის ბრძანებების უგულებელყოფით სასჯელს დაიმსახურებს. თუ როგორ დასჯის მას ღმერთი მთლიანად გამჩენზეა დამოკიდებული. უეჭველია, რომ სასჯელი საშინელი იქნება.

ყველა მორწმუნე, რაც იცის და როგორც შეუძლია ვალდებულია გაავრცელოს და შეისწავლოს ადამიანების ჭეშმარიტი სარწმუნოება. ეს მუამავლისაგან მემკვიდრეობით არის გადმოცემული განსაკუთრებით მათ ვისაც სწავლება ევალებათ.

ასე რომ, როგორც მუამავალმა ბრძანა თუ რაიმე ბოროტებას შეხვდებით ხელით ანუ მოქმედებით გამოასწორეთ, თუ ეს არ შეგიძლიათ ენით მიუთითეთ და გამოსწორებას შეეცადეთ, ხოლო თუ ესეც შეუძლებელია, გულით მაინც ისურვეთ გამოსწორება. ე.ი. ბოროტებას არ უნდა შევურიგდეთ და არ უნდა შევეგუოთ. რა თქმა უნდა ყველაფერი ზომიერების ფარგლებში უნდა მოხდეს.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველაზე დიდი

ჯიჰადი სიკეთისკენ მოწოდებაა. იარაღით ჯიჰადი ადამიანს კლავს, ეს კი აცოცხლებს, სარგებელი მოაქვს. ადამიანებმა უნდა იცოცხლონ, მაგრამ მათ გამჩენის ნაბრძანები გზით უნდა იარონ, რათა ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ბედნიერებას ეწიონ. არ მოხვდნენ ჯოჯოხეთში, ამისათვის კი ღმერთის ბრძანებები უნდა შეასრულონ.

# წარღვნის მოახლოების ნიშნები

წმინდა ენესის (რ. ა.) გადმოცემით ღმერთის შუამავალს ასე უბრძანებია

„უეჭველია, რომ (რელიგიური) მეცნიერების გაუქმება, უმეცრების გაბატონება, ღვინის (დასალევის) სმა, მრუშობის სიმკარავე წარღვნის ნიშნებია (ნიშნებიდანაა).

ამ ჰადისშიც არის ნახსენები ღვინო, როგორც დიდი ცოდვა და წარღვნის მიმანიშნებელი, თუ დავაკვირდებით ჰადისში ჩამოთვლილ საკითხებს ადვილად მივხვდებით რამდენად მოახლოვებულია წარღვნა.

საჭიროა კარგად დავაკვირდეთ და დავფიქრდეთ მეცნიერებასა და უმეცრებას შორის რომელია გაბატონებული, რამდენად გახშირდა ალკოჰოლიანი სასმელების სმა და მრუშობაც რა ხარისხში ავიდა. რადგანაც ამ წიგნში მხოლოდ დასალევზე და ყუმარზე ვსაუბრობთ, ჩვენს საზოგადოებაში ამ მხრივ სავალალო მდგომარეობაა.

სტატისტიკური გამოკვლევებით, რომელიც ჩაატარა საერთაშორისო ორგანიზაციამ „WHO“ დადგინდა, რომ

ალკოჰოლის ფაქტორი განაპირობებს მკვლელობის 35%-ს, გაუპატიურების 50%-ს, ავტოავარიების 50%-ს, ოჯახური ძალადობის 70%-ს, უმუშევრობის 60%-ს. ალკოჰოლის შესაძენად სხვადასხვა ნივთების გამყიდველები შეადგენენ 9%-ს. შეგახსენებთ, რომ ეს გამოკვლევები ჩატარდა 30 ქვეყანაში.

muslim georgia

# დასასრული

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი და განმარტებული აიათები და ჰადისები შეეხებოდა უშუალოდ ალკოჰოლურ სასმელებსა და აზარტულ თამაშებს.

ყველა მორწმუნე, სინდისიერი და გონიერი ადამიანის ვალია ყურადღებით გაეცნოს ამ აიათებსა და ჰადისებს, შეასრულოს ღმერთის ბრძანებები და მოერიდოს აკრძალულებს.

აქედან გამომდინარე რა სახელიც არ უნდა ერქვას ალკოჰოლიან დასალევს, რა სახისაც არ უნდა იყოს აზარტული თამაში, ყველა რაც ჰარამადაა ცნობილი ყველა მორწმუნე მათგან შორს უნდა იყოს.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ქვეყანა დროებითია, საიქიო კი მუდმივი.

მაღალო ღმერთო! დაე, გვაცოდინე ჭეშმარიტება ჭეშმარიტებად და ბოროტება – ბოროტებად, მოგვეც გზა ხსნისა და გადარჩენისა. ამინ!